პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 14 აგვისტო, 1945 წ. № 161 (7376). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ძლიერი და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობის დღესასწაული. „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან (1-ლი გვერდი).
მოკავშირეთა ბერლინის კომენდატურის მეხუთე სხდომა (1-ლი გვერდი).
ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკების დაჯილდოება საბჭოთა კავშირის ორდენებით (1-ლი გვერდი).
ფიზკულტურის სრულიად საკავშირო დღე მოსკოვში (მე-2 გვერდი).
ბ. ლეონტიევი. იაპონიის იმპერიალიზმის ბოროტმოქმედებანი (მე-2 გვერდი).
ლ. სტურუა — ისტორიული თარიღი (მე-3 და მე-4 გვერდი).
სახელოვანი იუბილე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

ძლიერი და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობის დღესასწაული

მოსკოვმა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებმა, მხარეებმა და ოლქებმა, ქალაქებმა და სოფლებმა — მთელმა ჩვენმა დიადმა ქვეყანამ იდღესასწაულა გუშინ ფიზკულტურელის სრულიად საკავშირო დღე. ფიზკულტურული ორგანიზაციების საყოველთაო სახალხო დათვალიერებაზე გამოვიდა მშვენიერი, ღონიერი და გამოწრთობილი ახალგაზრდობა — ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ჭაბუკობა. სასიხარულო იყო საყვარელი, ტრადიციული დღესასწაული საბჭოთა ხალხისა, ბრწყინვალე და ლამაზი დღესასწაული, რომელიც კვლავ დაგვიბრუნდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომის მძიმე წლების შემდეგ. ახალგაზრდა საბჭოთა დევგმირების მწყობრ რაზმებში ერთად მოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის გამოწრთობილი ახალგაზრდობა, რომელმაც უკვე გამოიარა ომის ქარცეცხლი, მისცა ჩვენს ქვეყანას ფრონტისა და ზურგის მამაცი გმირები, და სულ ნორჩი თაობა, რომელიც გამოიზარდა დიდი განსაცდელისა და სასტიკი სიდუხჭირის წლებში.

საბჭოთა ხალხისა და მისი წითელი არმიის მიერ გერმანიის იმპერიალიზმზე მოპოვებულმა დიადმა ისტორიულმა გამარჯვებამ განსაკუთრებული საზეიმო ელფერი მისცა ახლანდელ დღესასწაულს. მტერს სურდა სისხლი გამოეცალა ჩვენთვის, მოესპო ჩვენი ცოცხალი ძალა ისევე, როგორც სურდა მოესპო ჩვენი სამხედრო და ეკონომიური ძლიერება. სამარცხვინოდ ჩაიფუშა ჰიტლერული გეგმები და ვარაუდები. ჩვენი ახალგაზრდობის გუშინდელი საყოველთაო სახალხო დათვალიერება მკაფიო დადასტურება იყო დიდი სტალინის სიტყვებისა იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი კიდევ უფრო მტკიცე და ძლიერი გამოვიდნენ ომიდან, ვიდრე ომის დაწყებამდე იყვნენ.

ფიზკულტურელის დღემ განსაკუთრებული თვალსაჩინოებით ასახა ჩვენი ქვეყნის უდიდესი ძალა, ჩვენი ხალხის აურაცხელი რეზერვები, მისი კულტურის ზრდა. და კიდევ: მან გადაგვიშალა საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევი ძმობის დაუვიწყარი სურათი, მათი ურყევი დარაზმულობა, მათი ისტორიული ერთიანობა ლენინ-სტალინის დიადი და ძლევამოსილი დროშის ქვეშ.

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური
შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს.

მტკიცე, ძლიერმა რუსეთმა გაიარა გუშინ მოსკოვში წითელ მოედანზე ამხანაგ სტალინის წინ, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების წინ. მასთან ფეხმეწყობილად მიდიოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკა. და თუ ფიზკულტურელების, სპორტსმენების მზით დამწვარი ბრინჯაოსფერი სხეულები ჩვენი ძალისა და სასიხარულო ახალგაზრდობის ცოცხალი განსახიერება იყო, ნაციონალური კოსტიუმების საუცხოო ფერები ჩვენი დიადი ქვეყნის მრავალფეროვანი სოციალისტური კულტურის, მისი პოეტური სილამაზის, მისი დაუშრეტელი სიმდიდრის ცოცხალი განსახიერება იყო.

ძველ რუსეთში ფიზიკური კულტურა და სპორტი მეტად ცოტა ვინმესთვის იყო ხელმისაწვდომი. ახლამდე ეს მთელი ჩვენი მრავალმილიონიანი ხალხის კუთვნილებაა. საბჭოთა წყობილებამ არა მარტო შეათვისა ერთმანეთს და ძმური კავშირით გააერთიანა სსრ კავშირის ხალხები, მან გაათავისუფლა ხალხის ძალების მძლავრი წყაროები. თვითეული რესპუბლიკის ნაციონალური კულტურის აყვავებას მოჰყვა ფიზიკური კულტურის აყვავება, სპორტის ფართოდ გავრცელება.

ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურა და სპორტი მშრომელთა ჯანმრთელობის გამაგრების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა; ჯანმრთელობის გამაგრებას დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი პარტია, ჩვენი მთავრობა. ამასთან ერთად ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება არის გამოცდილებით შემოწმებული საიმედო მძლავრი საშუალება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, მისი სამხედრო და ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისა. ამხანაგმა სტალინმა თავის დროზე საბჭოთა ხალხს დაუსახა ამოცანა აღზარდოს ახალი თაობა, „ჯანმრთელი და ხალისიანი, რომელიც შესძლებს სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს საბჭოთა ქვეყნის სიმძლავრე და მკერდით დაიცვას იგი მტრების მხრივ ხელყოფისაგან“.

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირულმა ბრძოლამ, რაც მტრის სრული განადგურებით დამთავრდა, ცხადჰყო, რომ საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დასძლია ეს ამოცანა. ფიზკულტურული ორგანიზაციების საყოველთაო სახალხო დათვალიერებამ, რაც გუშინ მოხდა, ცხადჰყო, რომ ჩვენ წინ წავედით ამ გზით, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში შედიან, მისი მუდმივი წინსვლის განუყოფელ ნაწილი ხდებიან.

ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელები და სპორტსმენები დიდი მიღწევებით მოვიდნენ ახლანდელ დღესასწაულზე. ისინი განუწყვეტლივ სრულჰყოფდნენ თავიანთ ოსტატობას, მიუხედავად ომის სიდუხჭირისა, მიუხედავად ომიანობის დროის სიძნელეებისა. მაგრამ საბჭოთა ხალხი, საბჭოთა ახალგაზრდობა ისეთი არ არიან, რომ იყოყოჩონ თავიანთი წარმატებებით და მიღწეულით დაკმაყოფილდნენ. ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე დიდი და სერიოზული ამოცანები დგას, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა—უზრუნველჰყოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი უფართოესი განვითარება.

ეს ამოცანა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სამხედრო და ეკონომიური ძლიერების განმტკიცებასთან. დიდი სამამულო ომის გამოცდილებამ ჩვენ ხალხს დაანახვა კარგი ფიზიკური აღზრდის, სპორტის მასობრივი განვითარების მთელი ღირებულება. ფიზიკური კულტურა ამაგრებს არა მარტო ჯანს, არამედ ადამიანის მორალურ სიმტკიცესაც. ზრდის მის ნებისყოფას, აძლიერებს მის გამჭრიახობას, გაბედულებას, მამაცობას. კარგმა ფიზიკურმა მომზადებამ ბრწყინვალე სამსახური გაუწია ჩვენს მებრძოლებსა და ოფიცრებს. სწორედ ასევე ფიზიკურმა წრთობამ და გაწვრთნილობამ დიდად შეუწყო ხელი ზურგის მუშაკებს მათს შეუპოვარ შრომაში გამარჯვებისათვის.

ჩვენმა ხალხმა ღირსეულად გაუძლო ომის განსაცდელს. ეს უწინარეს ყოვლისა ჩვენს ახალგაზრდობას შეეხება. ახლა საბჭოთა ხალხის წინაშე დადგა ახალი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ამოცანა: იაპონიის იმპერიალიზმის განადგურება, აგრესიის კერის მოსპობა შორეულ აღმოსავლეთში. ჩვენი გმირი ჯარები ძლევამოსილად უტევენ იაპონიის ჯარებს. ზღვისპირეთში, მანჯურიაში, იმიერბაიკალში გაჩაღებულ ბრძოლებში მონაწილეობს ჩვენი ახალგაზრდობა, მათ შორის ჩვენი ფიზკულტურელები და სპორტსმენები, რომელთაც წითელი არმიის მეომართა საპატიო ფორმა აცვიათ. ისინი იქიდან თავიანთი საბრძოლო გმირობით სალუტს აძლევენ ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც გუშინ გამოვიდა ფიზკულტურელთა პარადზე. ჩვენი ახალგაზრდობა საბრძოლო ვითარებაში ამოწმებს თავის ამტანობას, თავის სასპორტო გაწვრთნილობას.

ომში ჩვენმა ახალგაზრდობამ მიიღო არა მარტო საბრძოლო გამოცდილება, არამედ სალაშქრო ვითარების მოთხოვნებით განპირობებული განსაკუთრებული ფიზიკური წრთობაც. ეს ძვირფასი კაპიტალია, რომელიც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის.

ფიზიკური კულტურის ახლანდელმა დღესასწაულმა, რომელიც გაიმართა ესოდენ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ახალი ფურცელი უნდა გადაშალოს ჩვენი ხალხის ფიზიკური აღზრდის განვითარებაში, სპორტის განვითარებაში. პირველი და უცილობელი პირობა, რომელიც დაცულ უნდა იქნას, იმაში მდგომარეობს, რომ ფიზკულტურული მოძრაობა უნდა ვითარდებოდეს როგორც ჭეშმარიტად მასობრივი, საყოველთაო სახალხო მოძრაობა. ეს კიდევ ცოტაა. ისევე როგორც ჩვენ სრულვყოფთ ჩვენს მხედრულ ხელოვნებას, ჩვენს ტექნიკას, ისევე როგორც ვავითარებთ ჩვენს მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას, სპორტისა და ფიზიკური კულტურის დარგშიც განუწყვეტლივ წინ უნდა მივდიოდეთ ახალ-ახალი მიღწევისაკენ, ახალ-ახალი და კიდევ უფრო ბრწყინვალე წარმატებისაკენ.

ამისათვის ჩვენ ყოველივე შესაძლებლობა მოგვეპოვება. საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებს ჩვენი პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი. მშრომელთა ფიზიკური აღზრდისათვის, სპორტის მასობრივი განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა უნდა გახდეს პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების საქმე და, თავისთავად იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა კომკავშირის საქმე.

გუშინდელი დღესასწაული, გაცისკროვნებული სიჭაბუკის მხიარულობით, ცხოველმყოფელი და ყოვლისმძლე ძალით, ბრწყინვალე გამომგონებლობით, შემოქმედებითი ფანტაზიითა და საუცხოო ხელოვნებით, მკაფიო დემონსტრაცია იყო ჩვენი ახალგაზრდობის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულებისა საბჭოთა სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინისადმი.

იზარდოს და განმტკიცდეს ახალგაზრდა საბჭოთა დევგმირების სტალინური მოდგმა სამშობლოს სასიხარულოდ, საბჭოთა ხალხის სასიხარულოდ!

„პრავდის“ 13 აგვისტოს მოწინავე

პროფესორი იორდან იორგუ დაინიშნა რუმინეთის დესპანად სსრ კავშირში

ბუქარესტი, 12 აგვისტო. (საკდესი). რუმინეთის მთავრობამ სსრ კავშირში რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად დანიშნა რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი პროფესორი იორდან იორგუ.

შვეიცარიიდან საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის საკითხის გამო

პარიზი, 12 აგვისტო. (საკდესი). როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობა დათანხმდა შვეიცარიის მთავრობის წინადადებებზე შვეიცარიაში ინტერნირებული საბჭოთა მოქალაქეების მდგომარეობის საკითხის გამო. ამის შესაბამისად შვეიცარიის ხელისუფლების მხრივ ინტერნირებული საბჭოთა მოქალაქეებისადმი არანორმალური მოპყრობის ფაქტების გამოსაკვლევად, აგრეთვე ცნობების შესაგროვებლად, ამ მოქალაქეების აღრიცხვისა და რეპატრიაციისათვის, შვეიცარიაში გაიგზავნა საბჭოთა კომისია. 27 ივლისს ეს კომისია შეუდგა მუშაობას. კომისიის წევრები გაემგზავრნენ შვეიცარიის პროვინციული რაიონების ბანაკებში, რათა გამოარკვიონ იქ მყოფი საბჭოთა მოქალაქენი და განახორციელონ მოსამზადებელი მუშაობა სამშობლოში მათი დაბრუნებისათვის.

მაგრამ დღემდე კიდევ არ დაწყებულა საბჭოთა მოქალაქეებისადმი შვეიცარიის ხელისუფალთა არანორმალური მოპყრობის ფაქტების გამოკვლევა. ეს გამოკვლევა უნდა ჩაატაროს კომისიამ სსრ კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით. დაყოვნება იმით აიხსნება, რომ ამერიკის სამხედრო ატაშეს გენერალ ლეგს, მისი სიტყვით, სათანადო ინსტრუქციები არ აქვს თავისი მთავრობისაგან. რაც შეეხება ინგლისის სამხედრო ატაშეს, თუმცა მან, როგორც თვითონ განაცხადა, ინსტრუქცია მიიღო, მაგრამ მუშაობის დაწყება შეუძლია მხოლოდ თავის ამერიკელ კოლეგასთან ერთად. საფრანგეთის სამხედრო ატაშემ გენერალმა უავემ განაცხადა, რომ მზად არის შეუდგეს მუშაობას ყოველ მომენტში.

უნდა აღინიშნოს, რომ შვეიცარიაში მყოფი საბჭოთა მოქალაქეებისადმი არანორმალური მოპყრობის ფაქტები აღიარა თვით შვეიცარიის ჰ[illegible] 30 ივლისს დაბეჭდილი მასალებით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

12 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

12 აგვისტოს განმავლობაში შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ მანჯურიის ტერიტორიის სიღრმეში.

ზღვისპირეთში შორეული აღმოსავლეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ შეტევას მთიან-ტყიანი ადგილის ძნელ პირობებში, დაიკავეს ქალაქი მიშანი, ქალაქი და რკინიგზის სადგური ხუნჩუნი, აგრეთვე დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები ბაოლიინი, ხადაზე, დადუძიჩუანი, ნასმუგოუ, ლაოხეიშანი, ხუანგოუ, ერდაოხეძი და წინ წაიწიეს 15-35 კილომეტრით.

ხაბაროვსკის სამხრეთ-დასავლეთით შორეული აღმოსავლეთის მე-2 ფრონტის ჯარებმა, ამურის სამდინარო ფლოტილიის ხომალდებთან თანამოქმედებით, ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები სიოუშანი, სანძიანფანი, იუანჩუანტუნი — ამურის სამხრეთ ნაპირზე და დასახლებული პუნქტები ფუტიმი, ხოიუზჯენი, დაიაკე, დადაიხე, სანიტუნი — მდინარეებს სუნგარისა და უსურის შუა. ბლაგოვეშჩენსკის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი სიუნხე, რკინიგზის სადგური აიგუნი და რამდენიმე სხვა დასახლებული პუნქტი.

იმიერბაიკალის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ ხაილარ-ხარბინის რკინიგზის გასწვრივ, ბრძოლით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური იაკეში და დასახლებული პუნქტები მოგოტუი, გორუნორი.

ფრონტის მოძრავმა ჯარებმა მთელ რიგ უბნებზე გადალახეს დიდი ხინგანი და მის აღმოსავლეთ კალთებზე გადავიდნენ.

წყნარი ოკეანის ფლოტის ხომალდებმა და სადესანტო ნაწილებმა ბრძოლით დაიკავეს იაპონელთა საზღვაო ნავსადგურები კორეის ჩრდილოეთ ნაწილში — ქალაქები იუკი და რასინი. 10-11 აგვისტოს განმავლობაში წყნარი ოკეანის ფლოტის ხომალდები და ავიაცია კვლავ ურტყამდნენ მოწინააღმდეგის ხომალდებსა და ტრანსპორტებს ჩრდილოეთ კორეის ნავსადგურებსა და ღია ზღვაში. ასეთი დარტყმების შედეგად, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 11 აგვისტოს ცნობაში წინათ გამოცხადებულთა გარდა, ჩაძირულია: იაპონელთა ორი ნაღმოსანი და 14 ტრანსპორტი.

ჩვენი ავიაცია ურტყამდა რკინიგზის კვანძებს მანჯურიაში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

13 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

13 აგვისტოს შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ჯარები შეტევას განაგრძობდნენ მანჯურიაში.

შორეული აღმოსავლეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, დასძლიეს რა მტრის წინააღმდეგობა, დაიკავეს ქალაქები და რკინიგზის დიდი სადგურები ხულინი (ხეიძუიძი), დუნანი, ქალაქი და რკინიგზის საკვანძო სადგური ლინკოუ, ქალაქები და რკინიგზის სადგურები ტაიმაგოუ, მადაოში, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები სანფინდუიერი, ნიანძიგოუ, უდაოგანი, შიტოუხეძი, სიფანშანი, დახუანგოუ, ლიძიგოუ, განბატოუ, ერდაგოუ, პანშიგოუ, ამასთან წინ წაიწიეს 15-45 კილომეტრით.

შორეულ აღმოსავლეთის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ მდინარე სუნგარისა და უსურის შუა, წინ წაიწიეს 15-40 კილომეტრით და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ხაილუ (20 კილომეტრზე ფუძინის დასავლეთით), ერდაოგანი, ფუძინგანი, ხამატუნხე.

იმიერბაიკალის ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის ხალუნ-არშანის გამაგრებული რაიონი და დაიკავეს ქალაქი ხალუნ-არშანი. ამავე დროს ფრონტის ჯარებმა გადალახეს დიდი ხინგანის უღელტეხილები და ბრძოლით დაიკავეს ქალაქები და რკინიგზის დიდი სადგურები სოლუნი და ვანემიაო. ფრონტის ჯარებმა, რომლებიც ხაილარ-ხარბინის რკინიგზის გასწვრივ უტევენ, დაიკავეს რკინიგზის სადგური მიანდუხე.

ჩვენი ავიაცია კვლავ ურტყამდა მანჯურიის რკინიგზის კვანძებს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

მოკავშირეთა ბერლინის კომენდატურის მეხუთე სხდომა

ბერლინი, 10 აგვისტო. (საკდესი). 9 აგვისტოს გენერალ პარქსის (ამერიკის შეერთებული შტატები) თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქ ბერლინის კომენდანტთა მეხუთე სხდომა.

მოკავშირეთა კომენდანტებმა განიხილეს ქალაქ ბერლინისათვის ქვანახშირის საჭიროების დაწვრილებითი ცნობები და დაამტკიცეს ბერლინის მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის ქვანახშირით მომარაგების გეგმა 1946 წლის 1 იანვრამდე.

კულტკომისიის მოხსენების მიხედვით, მოკავშირეთა კომენდანტებმა დაადგინეს, რომ კონტროლს სანახაობითი საწარმოებისადმი განახორციელებენ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის ზონების კომენდანტები მათ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე. მოკავშირეთა ქვეყნებში გამოშვებულ კინოფილმებს უჩვენებენ წინასწარი ცენზურის გაუვლელად. სპეციალური გამქირავებელი კანტორების საშუალებით ნებადართულია კინოფილმების გაცვლა-გამოცვლა, რათა შესაძლებლობა იქნეს ოკუპაციის ყველა ზონის კინოთეატრებში უჩვენონ მოკავშირეთა მიერ გამოშვებული ყოველი ფილმი. მოკავშირეთა კომენდატურამ მითითება მისცა ბურგომისტრებს, რომ ბერლინის წამყვანი თეატრების მსახიობებს სასურსათო მომარაგება ეძლეოდეთ უმაღლესი ნორმებით.

საბჭოთა კომენდანტის გენერალ-პოლკოვნიკ გორბატოვის წინადადებით, მოკავშირეთა კომენდანტებმა გადასწყვიტეს გამოსცენ მოკავშირეთა კომენდატურის ოფიციალური ორგანო—გაზეთი გერმანულ ენაზე. ამ გაზეთის გამოსვლასთან დაკავშირებულ ყველა პრაქტიკულ საკითხს მოამზადებს სპეციალური კომისია და დასამტკიცებლად შეიტანს მოკავშირეთა კომენდანტების მორიგ სხდომაზე.

მოკავშირეთა კომენდანტებმა გაითვალისწინეს ქალაქის თვითმმართველობის ფართო ინიციატივის მნიშვნელობა ბერლინის მოსახლეობისათვის ბოსტნეულის დამზადების საქმეში, სპეციალურ კომისიას მიანდეს შეისწავლოს ეს საკითხი და თავისი წინადადებანი წარმოადგინოს შემდეგ სხდომაზე.

მოკავშირეთა კომენდანტებმა დაამტკიცეს სასურსათო მომარაგების დაწვრილებითი გეგმა, განსაზღვრეს მხარეთა წილი სურსათის მიწოდების საქმეში და მოკავშირეთა შორის ურთიერთ ანგარიშსწორების სისტემა. ვინაიდან გერმანელ მოქალაქეთა გადასახლებას ოკუპაციის ერთი ზონიდან სხვა ზონაში არევ-დარევა შეაქვს მოსახლეობის აღრიცხვისა და სასურსათო ბარათების გაცემაში, მოკავშირეთა კომენდანტებმა კატეგორიულად აკრძალეს ყოველგვარი თვითნებური გადასახლება ერთი ზონიდან მეორეში. ის პირები, რომლებიც წინათ გადავიდნენ სხვა ზონების ტერიტორიაზე, იქ უზრუნველყოფილ არ იქნებიან სასურსათო ბარათებით და მათ წინანდელ საცხოვრებელ ადგილას დააბრუნებენ.

მოკავშირეთა კომენდანტების დადგენილების თანახმად, გერმანელ მოსახლეობას ეკრძალება ქუჩებში გამოსვლა 23.00 საათიდან 05 საათამდე, ოფიციალური დროით დიდი ბერლინის ოკუპაციის ყველა ზონაში. ამ განკარგულებას ძალა აქვს 1945 წლის 31 დეკემბრამდე.

აგვისტოდან დაწყებული მოკავშირეთა თვითეული კომენდანტი მთავარი კომენდანტის მოვალეობას შეასრულებს არა ორი კვირის განმავლობაში, როგორც ეს წინათ იყო დაწესებული, არამედ ერთი თვის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით გენერალი პარქსი მთავარი კომენდანტი იქნება 31 აგვისტომდე, ხოლო გენერალი ლაინი—1-დან 30 სექტემბრამდე. გენერალი დე ბოშენი მთავარი კომენდანტის მოვალეობის შესრულებას შეუდგება 1 ოქტომბრიდან.

მოკავშირეთა კომენდანტებმა დაამტკიცეს ბრძანებანი გერმანელი მოსახლეობის ფასეულობათა კონფისკაციისა და ქალაქ ბერლინში ფულის მიმოქცევის წესის შესახებ. მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება ქალაქის ავტომანქანების რეგისტრაციისა და ქალაქის ავტოტრანსპორტისათვის სპეციალური საშვების გაცემის წესის შესახებ, რაც გამოქვეყნებულ იქნება.

მთავარმა კომენდანტმა გენერალმა პარქსმა გამოაცხადა, რომ 12 აგვისტოდან საფრანგეთის ჯარებს, მიღწეული შეთანხმების თანახმად, უკავიათ ქალაქ ბერლინის ოკუპაციის მათთვის განკუთვნილი ზონა და ამ დღიდან საფრანგეთის კომენდანტი გენერალი დე ბოშენი შეუდგება ბერლინის კომენდანტის მოვალეობის შესრულებას მოკავშირეთა დანარჩენი კომენდანტების თანასწორი უფლებებით.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. სერგეი ივანეს-ძე ქავთარაძე დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად რუმინეთში მისთვის წინათ მინიჭებული საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგის შენარჩუნებით.

საბჭოთა პატრიოტის მოქმედება

ხაბაროვსკი, 11 აგვისტო. (საკდესი). დიდი სამამულო ომის მონაწილე სტეფანე ქარნიხი ამას წინათ შორეულ აღმოსავლეთში დაბრუნდა და ბიკინში დაიწყო მუშაობა.

როდესაც ჩვენმა ჯარებმა საბრძოლო მოქმედება დაიწყეს იაპონელ მილიტარისტთა წინააღმდეგ, სტეფანე ქარნიხი სახბანკის ადგილობრივ კანტორაში გამოცხადდა და წითელი არმიის ფონდში შეიტანა თავისი დანაზოგი 50 ათასი მანეთი.

—გთხოვთ ამ ფულით შეიძინოთ ტანკი ჩემი ძმისათვის, რომელიც ამჟამად იაპონელ დამპყრობლებს ეომება,—განაცხადა საბჭოთა პატრიოტმა.

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკების დაჯილდოება საბჭოთა კავშირის ორდენებით

დიდი სამამულო ომის დროს თავდაცვითი და სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის დარგში მთავრობისა და სამხედრო სარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან ამიერკავკასიის, ორჯონიკიძის, ჩრდილოეთ-კავკასიის, სტალინგრადისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ რკინიგზების მუშაკები. მათ შორის ლენინის ორდენით დაჯილდოებულია სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საქვაბე საამქროს მუშა **მიხეილ თევდორეს-ძე გეწაძე**, კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენით — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი **გრიგოლ სიმონის-ძე კიკნაძე**, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით — ბალაჯარის სადგურის უფროსი **გრიგოლ დავითის-ძე ბიბილაშვილი**, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილეები **ალი ასად ოღლი ჯაფაროვი**, **იოსებ გიორგის-ძე ქარუმიძე**, **ლეონიდე მურადის-ძე ნავასარდოვი**, თბილისის საორთქლმავლო დეპოს უფროსი **იასონ გაბრიელის-ძე ნუცუბიძე**, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე **დავით ბარამის-ძე ტაბატაძე**.

სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოებული არიან მოძრაობის ლენინაკანის განყოფილების უფროსი **მინას აირაპეტის-ძე დალანიანი**, ამიერკავკასიის რკინიგზის სავაგონო სამსახურის უფროსი **არუთინ გრიგოლის-ძე ერზინკიანი**, ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის თბილისის განყოფილების უფროსი **მამია იასონის-ძე იოსელიანი**, ბაქოს საორთქლმავლო დეპოს მემანქანე **კასიმოვი მამედ ალა**, ელექტროფიკაციის განყოფილების უფროსი **ლოგუა შალვა სარდიონის-ძე**, საორთქლმავლო სამსახურის უფროსი **მარინაშვილი იოსებ მიხეილის-ძე**, სალიანდაგო სამსახურის უფროსის მოადგილე **მეგრელიშვილი ივანე ზაქარიას-ძე**, საორთქლმავლო სამსახურის უფროსის მოადგილე **მეტონიძე გალაქტიონ ბესარიონის-ძე**, რკინიგზის ბაქოს დისტანციის უფროსი **მურადოვი ისმაილი მუშრუდის-ძე**, სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის უფროსი კონტროლიორი **შერმეტოვი გრიგორი ეფრემის-ძე**.

შრომის წითელი დროშის ორდენით: ლენინაკანის საორთქლმავლო დეპოს უფროსი მემანქანე **აბაჯიევი გარეგინ მიხეილის-ძე**, ბალაჯარის სავაგონო უბნის უფროსი **ბეჟანიშვილი ირაკლი ალექსანდრეს-ძე**, რკინიგზის ბალაჯარის დისტანციის უფროსი **ბუბაშვილი ალექსანდრე პორფილეს-ძე**, რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის უფროსი **ვაშაკიძე გრიგორი სილიბისტროს-ძე**, ლენინაკანის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე **ვაზიგეხწიან მიხეილი პავლეს-ძე**, სადგურ ჯულფის უფროსი **ჰასანოვი ჰაიდარ კასუმ ოღლი**, რკინიგზის სამტრედიის დისტანციის უფროსი **გუჯაბიძე ვასილ დიმიტრის-ძე**, მოძრაობის სამტრედიის განყოფილების დისპეჩერი **დუნდუა შალვა მირონის-ძე**, გზათა სახალხო კომისარიატის ბაქოს საორთქლმავლო დეპოს მემანქანე **ილიკოვი ალექსანდრე გრიგორის-ძე**, ხაშურის საელმავლო დეპოს უფროსი **კაკაბაძე დიმიტრი რუბენის-ძე**, ბაქოს განყოფილების მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი **ქალდანი არჩილ დიმიტრის-ძე**, მოძრაობის ბაქოს განყოფილების დისპეჩერი **კოლესნიკოვი ივანე პავლეს-ძე**, გზათა სახალხო კომისარიატის მატარებლების მოძრაობის უშიშროების რევიზორი **კონიაშვილი სერგი გიორგის-ძე**, კიროვაბადის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე **ყურბანოვი აბპერ ყაფარ ყული ოღლი**, იუსტიციის მაიორი **ლომიძე მიხეილ ყარამანის-ძე**, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის უფროსი **მამაცაშვილი დავით გიორგის-ძე**, ბაქოს საორთქლმავლო დეპოს ოსტატი **მათიოსიანი ვართან სერგის-ძე**, კიროვაბადის საორთქლმავლო დეპოს უფროსი **მელიქოვი დავით ილიას ოღლი**, რკინიგზის ხაშურის დისტანციის უფროსი **ნაგორნი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე**, ბაქოს სავაგონო უბნის ოსტატი **ნაზაროვი პეტრე ალექსის-ძე**, რკინიგზელთა პროფკავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ნანიტაშვილი ივანე ლავრენტის-ძე**, რკინიგზის ლენინაკანის დისტანციის უფროსი **ოგანეზიანი აშოტ ხაჩატურის-ძე** და თბილისის საორთქლმავლო მეურნეობის უფროსი **ოდილავაძე სერგი გიორგის-ძე**.

ჩვენმა ხომალდებმა და მედესანტეებმა დაიკავეს ქალაქები იუკი და რასინი

ციცაბო გორაკების კალთებზე გაშენებულია ქალაქი იუკი, რომლის უსწორმასწორო ქუჩები ეშვებიან ზღვისაკენ. იაპონელებმა იუკი თავიანთ საზღვაო და საავიაციო ბაზად გადააქციეს. აქ იყო იაპონიის ნამდვილი სამხედრო ხროვის ბუდე. ვლადივოსტოკს მცირე მანძილით დაშორებული იუკი მოწყობილი იყო როგორც პლაცდარმი, საიდანაც ნახტომი უნდა გაეკეთებინათ საბჭოთა ტერიტორიაზე. ამ ნავსადგურიდან იაპონელი დამპყრობლები კორეელთათვის მოტაცებულ დოვლათს უთვალავი ქარავნებით გზავნიდნენ თავიანთ კუნძულებზე. აქ ჰქონდათ ბაზა იაპონიის ფლოტის მჩვერავ ხომალდებს, აქედან საბჭოთა წყლებში შემოდიოდნენ ღამღამობით „მეთევზეთა“ ნავები, რომლებსაც ნაკლებად ეინტერესებოდათ თევზის ჭერა, მაგრამ დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩვენი სანაპირო სიმაგრეებისადმი.

ამ დღეებში განთიადისას წყნაროკეანელმა მფრინავებმა პირველად დაარტყეს იუკის. ჰაერიდან დარტყმა ზედიზედ მიჰყვა ერთმანეთს. ჩვენმა ნაწილებმა დაისახეს ამოცანა განემტკიცებინათ პირველი საბრძოლო წარმატებანი და დესანტი გადაესხათ იუკიში.

დესანტის გადასაყვანად გამოყოფილი ხომალდების ჯგუფი ორ პარტიად გაიყო. პირველი მათგანი უნდა წაეყვანა გამოცდილ მეზღვაურს, საბჭოთა კავშირის გმირს უფროს ლეიტენანტ ლეონოვს, მეორე ჯგუფი — უფროს ლეიტენანტ დევიატკოვს. მედესანტეთა ჯგუფში არის უფროსი წითელფლოტელი თევდორე მაშკოვი. მას მკერდს უმშვენებენ სამამულო ომის ორდენი, უშაკოვისა და „საბრძოლო დამსახურების“ მედლები. მალე დაუმეგობრდა საზღვაო ქვეითი ჯარის მებრძოლებს პირველი სტატიის ზემდეგი მიხეილ კოლოსოვი, რომელსაც საბრძოლო მამაცობისათვის მიღებული აქვს მთავრობის სამი ჯილდო.

ხომალდების პირველ ჯგუფს უნდა დაეკავებინა ქალაქისა და ნავსადგურ იუკის ახალი ნაწილი. ზღვა ხუთბალიანი გრიგალით შეხვდა მედესანტეებს. წვიმა და ნისლი სრულიად ზღუდავდნენ ხილვადობას, მაგრამ უფროს ლეიტენანტებს სოკოლოვსა და ნიკოლაევს დინჯად და მტკიცედ მიჰყავდათ ხომალდები.

კიდევ უფრო მძიმე პირობებში მიდიოდა ქალაქისა და ნავსადგურის სხვა ნაწილის დასაკავებლად მეორე ჯგუფი, რომელიც სიღამის გავიდა. ჩამოწვა უკუნი ღამე. გრიგალი უკვე შვიდბალიანი იყო. ხომალდებს ტალღების ზვირთი ნაფოტსავით აქანავებდა. რადიოკავშირის უქონლად, მხოლოდ ხელსაწყოს მიხედვით ლეიტენანტებს კოლინსა და ტუზოვატელოვს ზუსტად მიჰყავდათ ხომალდები დასახული გზით.

ჯერ კიდევ შორიდან, როცა ხომალდები ქალაქს მიუახლოვდნენ მეთვალთვალეებმა ხანძარი დაინახეს ჰორიზონტზე. იწვოდა სამხედრო ობიექტები, რომლებსაც მანამდე ბომბები დააყარეს ჩვენმა მფრინავებმა. ხანძრის ალი საუკეთესო ორიენტირი იყო. ხომალდები ჩაბნელებულ მხარეს მიჰყვნენ და ნაპირს მიადგნენ. მეორე სტატიის ზემდეგმა ვეტრიაკოვმა წითელფლოტელთა ჯგუფთან ერთად ნავით დაზვერა ნაპირი. ნაგორნოვმა და მედატონმა ტყვიამფრქვევი დაუმიზნეს ნაპირის უბანს. კომანდორებმა მიგაჩოვმა და ატნაშევმა ნაპირს დაუმიზნეს ქვემეხები, რომლებიც ყოველ წუთს მზად იყვნენ სროლისათვის. რამდენიმე წუთის შემდეგ პირველმა მედესანტეებმა ფეხი მოიკიდეს ნაპირზე.

ბოცმანი ბესფამილნი, ქერჩის დესანტის მონაწილე, უხმაუროდ ხელმძღვანელობდა დესანტის გადასხმას. ქალაქსა და ნავსადგურში საბჭოთა მედესანტეების გამოჩენა, რომლებიც ასეთ ამინდში გადასხდნენ, იმდენად მოულოდნელი იყო მტრისათვის, რომ იგი იძულებული გახდა უკან დაეხია. თავზარდაცემულმა იაპონელთა ნაწილებმა ქალაქი დასტოვეს, ამასთან მიატოვეს იარაღი, საომარი მასალა, კვების პროდუქტები. ყველგან ეყარა ბრინჯი, ლობიო, ყუთები საომარი მასალითა და მედიკამენტებით.

მედესანტეები ზედიზედ იკავებენ ქალაქის შენობებს, საკომენდანტო სამმართველოში აღმოჩენილია იაპონელთა საბრძოლო დროშა, თავზარდაცემულ იაპონელებს იგი დაავიწყდათ. საზღვაო ნავსადგურის სამმართველოს შენობაში მედესანტეებმა ღია სეიფებთან იპოვეს რუკები და მიტოვებული დოკუმენტები.

დღის 6 საათსა და 15 წუთზე კომენდატურის შენობაზე საბჭოთა ალამი აფრიალდა: ქალაქი და ნავსადგური იუკი მთლიანად ჩვენს ხელშია.

ამავე დღეს სხვა ჩვენმა ხომალდებმა და სადესანტო ნაწილებმა კორეის ნაპირზე დაიკავეს იაპონელთა ნავსადგური რასინი.

ი. ჩიტვერიკოვი

წყნარი ოკეანის ფლოტი, 12 აგვისტო. საკდესის სპეც. კორ.

კაჭრეთისა და მცხეთის რაიონებმა პურის დამზადების წლიური გეგმა შეასრულეს

კრასნოდარის მხარის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მიმართვის პასუხად საქართველოს კოლმეურნეობები აძლიერებენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ტემპებს.

კაჭრეთის რაიონმა ვადამდე 10 აგვისტოსათვის 100,4 პროცენტით შეასრულა პურის დამზადების 1945 წლის სახელმწიფო გეგმა. მცხეთის რაიონმა ამავე რიცხვისათვის გეგმა შეასრულა 106,7 პროცენტით.

ფიზკულტურელთა სრულიად საკავშირო პარადი მოსკოვში

12 აგვისტოს მოსკოვში, წითელ მოედანზე შედგა ფიზკულტურელთა სრულიად საკავშირო პარადი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 23 ათასმა კაცმა.

დიდებული და მშვენიერი სანახავი იყო ეს პარადი, რომელმაც შეკრიბა საბჭოთა კავშირის ყველა 16 რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები. ტრიბუნებზე მხურვალედ უკრავდნენ ტაშს ფიზკულტურელებს — ჩვენი სამშობლოს ერთგულ შვილებს, რომლებმაც დიდი სამამულო ომის წლებში გმირობის მაგალითი გვიჩვენეს ბრძოლასა და შრომაში.

ჩვენმა სამშობლომ გაზაფხულზე აღნიშნა გამარჯვების დიადი დღესასწაული. წითელი არმიის პოლკებმა და დივიზიებმა სახელოვანი საბრძოლო გზა განვლეს, ჩვენი გამარჯვების დროშა აღმართეს ბერლინში და სამუდამოდ გაანადგურეს გერმანელ ფაშისტთა აგრესიის კერა დასავლეთში. მაგრამ აღმოსავლეთში კიდევ გიზგიზებდა ჰიტლერული გერმანიის მოკავშირეების—იაპონელი მილიტარისტების მიერ გაჩაღებული ომის ცეცხლი. კაცობრიობას არ შეეძლო მშვიდობიანად ეცხოვრნა და ეშრომნა, სანამ აღმოსავლეთში არსებობს აგრესიის მეორე კერა, რომელიც ემუქრება მის თავისუფლებას, ბედნიერებას, დამოუკიდებლობას. საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის ჩვენმა მთავრობამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო, ომი გამოუცხადა იაპონელ იმპერიალისტებს.

დიდი სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი იბრძოდნენ და გაიმარჯვეს მებრძოლებმა და ოფიცრებმა დიდი სამამულო ომის ბრძოლებში. დიდი სტალინის სახელით აღფრთოვანებულთ, მათ დღეს იერიში მიაქვთ აგრესიის უკანასკნელ კერაზე, რათა უზრუნველყონ ხალხებისათვის მშვიდობა, მოსვენებული და ბედნიერი ცხოვრება.

...ათასობით სპორტსმენი ჭაბუკი და ქალიშვილი მიდის დღეს ჩვენი ქალაქების ქუჩებში და მოედნებზე. ეს ახალგაზრდობა ჩვენი სიამაყეა, ჩვენი დიდებაა. ბევრ ფიზკულტურელს მკერდს უმშვენებენ ორდენები და მედლები, რომლებითაც სამშობლომ აღნიშნა მათი მხედრული და შრომითი მამაცობა. ესენი ყველანი—ისინიც, ვინც ომის მკაცრი სკოლა გაიარა, ისინიც, ვინც ეს არის ახლა ადგება დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრების გზას—ყველანი გამსჭვალულნი არიან მხურვალე მისწრაფებით—თავიანთი ძალები მოახმარონ სოციალისტური სამშობლოს სამსახურს.

ქება-დიდება მათ, ახალგაზრდა პატრიოტებს, საბჭოთა ხალხის — გამარჯვებული ხალხის ერთგულ შვილებს!

ათასობით მოსკოველი გამოვიდა აგვისტოს ამ მზიან დილს ქუჩებში, რათა ენახა ახალგაზრდა ფიზკულტურელები. სპორტსმენთა სიყმაწვილე, სილამაზე, გაწვრთნილობა საყოველთაო აღტაცებას იწვევდა.

ძველისძველი წითელი მოედანი ამ დღეს თითქოს გაახალგაზრდავდა. ყველგან მცენარეულობა და ყვავილებია.

„გუმის" შენობაზეა ლენინისა და სტალინის უზარმაზარი პორტრეტები. მათ შუა მოთავსებულია დროშის დიდი მაკეტი, რომელზეც წარწერილია: „გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას — ლენინ-სტალინის პარტიას!". შენობის ფრონტონზე აქეთ-იქით არის ფარები, რომლებზეც გამოხატულია სამკერდე ნიშნები საკავშირო ალკკ და „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის". მათ შუა მოთავსებულია ტილოები ლოზუნგებით: „გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!", „გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!".

ტრიბუნები ივსება მრავალი სტუმრით. აქ არიან დედაქალაქის წარჩინებული ადამიანები: მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები, მამაცი წითელი არმიის წარმომადგენლები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები. სტუმართა შორის არიან ბულგარეთის, პოლონეთის ფიზკულტურელთა დელეგაციები, იუგოსლავიის, ალბანეთის, ფინეთის ახალგაზრდობის დელეგაციები.

* * *

მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგი სტალინი, ამხანაგები მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, ჟდანოვი, მიქოიანი, ხრუშჩოვი, ბერია, მალენკოვი, შვერნიკი, ვოზნესენსკი, ბულგანინი, პოპოვი, შკირიატოვი, ჟუკოვი, ბუდიონი, ანტონოვი, ვორონოვი, ხრულევი, მერკულოვი.

ტრიბუნაზე იწვევენ ამერიკის არმიის გენერალ დუაიტ დ. ეიზენჰაუერს. არმიის გენერალი ეიზენჰაუერი ტრიბუნაზე ადის ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ბ-ნ ჰარიმანის თანხლებით.

წითელ მოედანზე შეკრებილნი ხანგრძლივი „ვაშას" შეძახილებით, აღფრთოვანებით მიესალმებიან გამარჯვების დიდ შემოქმედს ამხანაგ სტალინს და მის თანამებრძოლებს.

კრემლის კურანტები 12-ჯერ რეკავენ. მაცხოვრის ჭიშკრიდან შემოდიან პარადის მიმღებნი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნ. რომანოვი, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი მ. პ. ტარასოვი. პარადის სარდალ გენერალ-ლეიტენანტ კ. რ. სინილოვთან ერთად ისინი ჩამოუვლიან ფიზკულტურელთა კოლონებს. ჩამოვლის შემდეგ ამხ. რომანოვი ტრიბუნაზე ადის და პარადის ფიზკულტურელებს მიმართავს მისასალმებელი სიტყვით.

საზეიმოდ გუგუნებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

გაისმის ბრძანება:

— საზეიმო მარშისათვის! ნაბიჯით... იარ!

ჩამოვარდნილ სიჩუმეში მკაფიოდ გაისმის დოლის ცემა. თეთრ კიტელჩაცმული ახალგაზრდა მედოლენი მავზოლეუმის ახლოს მიდიან და იმ წამსვე მოედანზე შემოდის 500 სპორტსმენისაგან შემდგარი მოწინავე კოლონა. წინ მოაქვთ სსრ კავშირის უზარმაზარი დროშა, მის შემდეგ—საბჭოთა კავშირის ყველა 16 რესპუბლიკის დროშები. სპორტსმენთა თავზე აღმართულია „გამარჯვების" ორდენის უზარმაზარი მაკეტი. მაღლა აღმართავთ სასპორტო საზოგადოებათა მრავალფეროვანი დროშები. ფიზკულტურელებს მოაქვთ ამხანაგ სტალინისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტები.

მავზოლეუმთან საპარადო ნაბიჯით გაივლის 16 მოკავშირე რესპუბლიკის ფიზკულტურელთა 12-ათასიანი კოლონა, რომელიც განასახიერებს დიდი საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთა ურღვევ ერთიანობასა და მეგობრობას.

თითოეული ფიზკულტურული დელეგაცია შეიძლება გამოიცნოთ ეროვნული კოსტუმებით. ნაზი ნაქარგითა და რუსული ფერადი ორნამენტით შემკული აბრეშუმის ტანსაცმლით გამოწყობილნი მოდიან რსფსრ ფიზკულტურელები.

კოლონის თავზე ალისფრად ელვარებს უზარმაზარი ლოზუნგი: „ჩვენი საქმე სამართლიანია — ჩვენ გავიმარჯვეთ!". ახალგაზრდა სპორტსმენებს მოაქვთ ტრანსპარანტი, რომელსაც აწერია სახელმწიფო ჰიმნის ცნობილი სიტყვები:

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური
შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს.

მავზოლეუმის ახლოს საზეიმო მარშით ზედიზედ გაიარეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ფიზკულტურელთა კოლონებმა. როგორც ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებათა და როგორც ომის ბრძმედში კიდევ უფრო განმტკიცებული და გამოწრთობილი ხალხთა მეგობრობის ცოცხალი განხორციელება მოდიოდა წითელ მოედანზე ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა.

ტრიბუნები მხურვალე ტაშით ხვდებიან უკრაინისა და ბელორუსიის ფიზკულტურელებს—სამამულო ომის მონაწილეებს, თავიანთი ხალხების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დიდი ბრძოლების გმირებს.

ბელორუსთა კოლონებს მოუძღვის სახელგანთქმული 26 წლის მეთაური პარტიზანული რაზმებისა საბჭოთა კავშირის გმირი ვიქტორ ლივენცოვი.

მაღალნი, ტანადნი, მოდიან ამიერკავკასიის ფიზკულტურელები — ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები. მათს რიგებში არიან განთქმული ალპინისტები, გიმნასტები, მოჭიდავენი, მძლეოსნები—კავკასიის დამცველები, სსრ კავშირის ჩემპიონები და რეკორდსმენები. ბრინჯაოსფერი სახეებით, მდიდრული აღმოსავლური ტანსაცმლით სტუმრები ცნობილობენ უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის სპორტსმენებს.

კარელია-ფინეთის რესპუბლიკისა და მოლდავეთის ფიზკულტურელთა კოლონებს მეთაურობენ სპორტსმენები—ოფიცრები, რომლებმაც საბრძოლო გზა განვლეს სტალინგრადიდან ბერლინამდე და რომლებიც აღნიშნული არიან ჩვენი ქვეყნის მრავალი ჯილდოთი.

ყველა ენაზე ისმოდა დიდი სტალინისადმი მხურვალე მისალმების სიტყვები.

ზეიმური იყო 1.200 მოსკოველი ცხენოსნისა და ყველაზე უფრო ახალგაზრდა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „შრომითი რეზერვების" 1.000 წევრის მარში. ჩინებული გაწვრთნილობა ეტყობოდათ უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების—მოსკოვისა და ლენინგრადის სტალინის სახელობისა და ლესგაფტის სახელობის ფიზიკური კულტურის ორდენოსანი ინსტიტუტების მოწაფეებს.

„დიდება ძლევამოსილ წითელ არმიას!" — ეს მისასალმებელი ლოზუნგი ამშვენებდა პროფკავშირთა სასპორტო საზოგადოებების გიმნასტთა ნაკრებ კოლონას.

დიდი საზრიანობა გამოიჩინეს საზოგადოება „კრილია სოვეტოვის" ფიზკულტურელებმა. საავიაციო მრეწველობის მუშაკი სპორტსმენები გვიჩვენებენ იმ საბრძოლო პროდუქციის მაკეტს, რომლითაც ისინი ამარაგებდნენ წითელი არმიის საფრენოსნო ნაწილებს დიდი სამამულო ომის დღეებში.

„ზენიტის", „მეტალურგის", „ლოკომოტივის", „მედიკის", „ტორპედოს", „სტროიტელის" კოლონებში დამსწრენი ცნობილობდნენ ბევრ თავის საყვარელ ადამიანს—[illegible] წლის ატლეტებს, მოკრივეებს, მცურავებს, მორბენლებს, ბადრის მტყორცნელებს, მოჭიდავეებს, რომლებმაც სახელი გაუთქვეს საბჭოთა სასპორტო მოძრაობას. მარტო შარშან, ომის წელს, საბჭოთა სპორტსმენებმა დაამყარეს 56 სრულიად საკავშირო რეკორდი, რომელთაგან 11 რეკორდმა მსოფლიო მიღწევებს გადააჭარბა.

მოულოდნელად მოედანზე ჩნდება ყინულის მინდორი—ეს არის ხელოვნური ყინულის სასრიალო, რომელიც დამზადებულია მაცივარი მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ. ზაფხულის მზის სხივებში სსრ კავშირის ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში ტატიანა გრანატკინა და სპორტის ოსტატი სამსონ გლიაზერი გვიჩვენებენ თავის გასაოცარ ხელოვნებას ციგურებით ცეკვაში.

მოედანზე გამოდიან სპორტსმენები ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უფრო პოპულარული კლუბის „დინამოსი", რომელიც დაჯილდოებულია ლენინის ორდენით სასპორტო კადრების მომზადებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებისათვის. 2.700 სპორტსმენს მოუძღვის გენერალ-მაიორი ივანე პიაშევი — 11 საბრძოლო ორდენისა და მედლის კავალერი. ალისფერი მაისურებით გამოწყობილი ცალკე კოლონად მოდის სსრ კავშირის 61 ჩემპიონი და რეკორდსმენი, რომლებიც აღზრდილი არიან საზოგადოება „დინამოს" მიერ.

რამდენიმე წუთით წითელი მოედანი აყვავებულ ბაღად იქცევა, ჩნდება ყვავილთა კვლები, შადრევანი, აღიმართება სტალინის თეთრი სკულპტურული ფიგურა.

რაღაც ოდნავ შესამჩნევი გადაჯგუფება ფიზკულტურელებისა, და ბაღი უკვე ცოცხლობს მჩქეფარე, სიხარულით აღსავსე ცხოვრებით. მოდიან დედები, რომელთაც მხრებზე უსხედან ბავშვები, ბავშვები თამაშობენ ბურთს, დასრიალებენ როლიკებით, ჰაერში უშვებენ სხვადასხვა ფერის ბურთებს.

მოედანზე გამოდიან გიმნასტები. თავისუფალ მოძრაობას სცვლის ცეკვა.

მკაფიო ნაბიჯით წითელ მოედანზე გამოვლის 2.500 არმიელი სპორტსმენი. ამ კოლონას მოუძღვის ბატალიონი ფიზკულტურელებისა, რომლებმაც სამშობლოსათვის ბრძოლებში დაიმსახურეს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე საპატიო წოდება—საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ტრადიციით საბჭოთა ფიზკულტურელების საზეიმო სვლას ამთავრებს 600 ველოსიპედისტი. თითქმის ყველანი სამამულო ომის მონაწილენი არიან. მათ შორის არის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალი გლებ ბაკლანოვი — განთქმული მსროლელი დივიზიის მეთაური, რომელიც სტალინგრადს იცავდა და ელბამდე მივიდა.

საზეიმო მარში დამთავრებულია. იწყება მოკავშირე რესპუბლიკების ფიზკულტურული დელეგაციების და ნებაყოფლობითი საზოგადოებების სპორტსმენთა სასპორტო-საგიმნასტო გამოსვლები.

მოედანზე ჩნდება პიონერთა ბანაკის პანორამა. თითქოს მიწიდან ამოიცენდნენ თეთრი კარვები, აღიმართება ბანაკის ხაზის ფლაგშტოკი. წითელ მოედანზე სახიერდება პიონერული ბანაკის დილის სურათი. ინთება ტრადიციული პიონერული კოცონი. მის გარშემო იწყება მხიარული ცეკვა-თამაში. რამდენი ნიჭიერი მოსაზრება და ნამდვილი ენტუზიაზმი ჩააქსოვეს ბავშვებმა ამ სასპორტო თამაშში!

კოცონი „ქრება". ათას ხუთასი ბავშვი შუაგულში იკრიბება, მავზოლეუმისაკენ მიემართება და ხელის ქნევით მიესალმება ამხანაგ სტალინს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, წითელი არმიის მარშლებსა და გენერლებს. მოსწავლეთა კოლონის ცენტრში მოდის ეტლი, რომელზეც დგას ძველი რუსული კოსტუმით გამოწყობილი ქალიშვილი, რუსეთს რომ განასახიერებს. ეტლი ჩერდება მავზოლეუმის წინ. ქალიშვილი ძველი რუსული ჩვეულებისამებრ დაბლა უკრავს თავს. ეტლიდან ჩამოდიან ბავშვები, რომელთაც ცოცხალი ყვავილების თაიგულები უკავიათ, ადიან მავზოლეუმის ტრიბუნაზე და მიდიან ამხანაგ სტალინთან.

მოსწავლეებს სცვლიან ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ფიზკულტურელთა დელეგაციები.

სრულიად საკავშირო ფიზკულტურულ პარადში პირველად მონაწილეობდნენ ყველაზე უფრო ახალგაზრდა საზოგადოება „შრომითი რეზერვების" სპორტსმენები.

ფიზკულტურულმა პარადმა დაგვანახვა, რომ ჩვენმა სამშობლომ გამოზარდა ძლიერი, გამოწრთობილი, მამაცი ახალგაზრდობა, რომელიც ყოველ წუთს მზად არის ხელში აიღოს შაშხანა და ავტომატი. ფიზკულტურულმა პარადმა ცხადჰყო ჩვენი ქვეყნის დაუშრეტელი ძალა და ძლიერება. ამასთან ერთად, პარადმა გვიჩვენა ჩვენი ახალგაზრდობის მხატვრული ნიჭი.

რადიოდინამიკები გვამცნობენ, რომ წითელ მოედანზე მოხდება სსრ კავშირის უძლიერეს მორბენალთა შეჯიბრება. რამდენიმე წუთით მწვანე ხალიჩა, რომელიც მოედანს ჰფარავს, სასპორტო მოედნად იქცევა. ტარდება გარბენა 100 მეტრზე მამაკაცებისა და ქალებისათვის, რომელშიც პირველობა მოიპოვეს სსრ კავშირის რეკორდსმენებმა დინამოელებმა კარაკულოვმა და ევგენია სეჩენოვამ. შვედურ ესტაფეტებში იმარჯვებენ საზოგადოება „კრილია სოვეტოვის" ქალთა გუნდი და „დინამოს" ვაჟთა გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც გამოვიდა „საშუალო დისტანციათა მეფე"—ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი ალექსანდრე პუგაჩოვსკი.

დამსწრეთა ყურადღებას კვლავ იპყრობენ შუა აზიის ფიზკულტურელები—ტაჯიკები, თურქმენები, უზბეკები, ყაზახები. ისინი გამოწყობილნი არიან მშვენიერი ეროვნული კოსტუმებით. სტუმრები მოედანზე ხედავენ მარჯვე და ღონიერ თურქმენებს, პამირის მთიელებს, უზბეკეთის ახალგაზრდა მებამბეებს, რომლებიც სრულყოფილად დაუფლებიან რთულ სასპორტო ხელოვნებას.

უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის, მოსკოვის სტალინის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა გამოსვლებმა, უკრაინის, ბელორუსიის, ამიერკავკასიისა და სხვ. ფიზკულტურული დელეგაციების გამოსვლებმა.

16 მოკავშირე რესპუბლიკის ფიზკულტურული დელეგაციების საპარადო მარში საბჭოთა ხალხების მეგობრობის, სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი მათი უსაზღვრო ერთგულების მკაფიო დემონსტრაცია იყო. თითოეული დელეგაცია თავისი გამოსვლის დამთავრების შემდეგ, შეუკავებლად მიეშურებოდა მავზოლეუმისაკენ. ფიზკულტურელები ჯანმრთელობას უსურვებდნენ დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენი გამარჯვების შემოქმედს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს ამხანაგ სტალინს. ამ მისალმებებში, რომლებიც სსრ კავშირის ყველა ეროვნების ენაზე გაისმოდა, იხატებოდა ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის ხალხთა მხურვალე სიყვარული დიდი სტალინისადმი, ვის სახელთანაც დაკავშირებულია სოციალისტური სახელმწიფოს სამხედრო და შრომითი გამარჯვებანი.

დასასრულ მთელი 16 რესპუბლიკის ფიზკულტურული დელეგაციები მავზოლეუმის წინ მწკრივდებიან და ასრულებენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

* * *

ფიზკულტურელთა სრულიად საკავშირო პარადი დაუვიწყარი სახალხო დღესასწაული იყო, რომელმაც მთელი ბრწყინვალებით გამოაჩინა ჩვენი სასპორტო ახალგაზრდობა. ის პარადი იყო დიდებული დემონსტრაცია ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლიერებისა, ჩვენი სამშობლოსი, რომელსაც გააჩნია ადამიანთა უშრეტი რეზერვები. ჩვენი ფიზკულტურული ახალგაზრდობა, რომელიც აღზრდილია საბჭოთა ხალხის გმირული ტრადიციებით, რომელიც ერთგულია ლენინ-სტალინის დიადი იდეებისა, მზად არის დიდი შემოქმედებითი შრომისათვის, მზად არის იმისათვის, რომ ყოველ წუთს გამოიღოს თავისი სამშობლოს დასაცავად. (საქდესი).

ფიზკულტურელის საკავშირო დღე თბილისში

საბჭოთა სპორტის დღესასწაული თბილისელმა ფიზკულტურელებმა მასობრივი შეჯიბრებებით აღნიშნეს. მათ გვიჩვენეს თავიანთი მიღწევები, ამასთანავე მთელი რიგი ახალი რეკორდები დაამყარეს.

ფიზკულტურის პარკის წყალქიმარდობის აუზში გაიმართა რესპუბლიკის უძლიერეს ახალგაზრდა მცურავთა შეჯიბრება. შესანიშნავად ჩაატარა ბრასით გაცურვა 50 მეტრზე ვაჟთათვის კაკო მშვენიერაძემ, რომელმაც ეს დისტანცია 33,4 წამში დაფარა. ახალგაზრდა მცურავმა თავის წარმატების ნუსხაში შეიტანა კიდევ ერთი ახალი სრულიად საკავშირო რეკორდი. გარდა ამისა, მან დაამყარა სრულიად საქართველოს რეკორდი 100 მეტრის გაცურვაში. გალია სოსნინამ 400 მეტრი ბრასის სტილით გაცურა 7 წუთსა და 42,4 წამში. ამით ქალთათვის სრულიად საქართველოს რეკორდი დაამყარა. დიდი წარმატება ხვდა წილად ეკატერინე მოროვის. მან თავისუფალი სტილით 1.500 მეტრის გაცურვის დროს თანმიმდევრობით დაამყარა ექვსი ახალი რესპუბლიკური რეკორდი: 300, 400, 500, 800, 1.000 და 1.500 მეტრზე.

დღესასწაულის დასასრულს გაიმართა საჩვენებელი ხტომა წყალში და წყალბურთის მატჩი თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა მეორე ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

საღამოს შესდგა შეხვედრები ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე.

წარმატებით გამოვიდა ფეხბურთელთა ახალი გუნდი „კრილია სოვეტოვ", რომელმაც მწვავე მომენტებით აღსავსე მატჩი „ლოკომოტივთან" მოიგო ანგარიშით 2:1.

7 საათზე ბერიას სახელობის მოედანზე შესდგა სტარტი შერეული ესტაფეტისა მარშრუტით: ბერიას მოედანი-ელბაქიძის დაღმართი — სტალინის სანაპირო — ფიზკულტურის პარკი. პირველნი ფინიშთან მივიდნენ საზოგადოება „ბოლშევიკის" მძლეოსნები.

ფიზკულტურის პარკში გაიმართა უძლიერესი მოკრივეების, ტანმოვარჯიშეებისა და აკრობატების საჩვენებელი გამოსვლები.

საღამო დამთავრდა მასობრივი სეირნობით და ფეიერვერკით. (საქდესი).

იაპონიის იმპერიალიზმის ბოროტმოქმედებანი

ნახევარი საუკუნის მანძილზე XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან, იმპერიალისტური იაპონია გამოდის როგორც ერთ-ერთი ყველაზე მხეცი და თავხედი აგრესორი. იაპონია ყოველთვის დაპყრობით ომებს აწარმოებდა. ყველა ამ ომს თან ახლდა უმაგალითო სისასტიკე, საერთაშორისო სამართლის აბუჩად აგდება, მშვიდობიანი მოსახლეობის მხეცური ჟლეტა. იაპონელი იმპერიალისტები ყოველთვის უეცრად ახდენდნენ თავდასხმას, წინასწარ ომის გამოუცხადებლად, ულმობლად აწიოკებდნენ იმ ქვეყნის მოსახლეობას, რომელსაც თავს ესხმოდნენ. ჩინეთის, მანჯურიის, კორეის, მონღოლეთის, ინდო-ჩინეთის, მალაიისა და ბირმის, ფილიპინებისა და ჰოლანდიის ინდოეთის, წყნარი ოკეანის კუნძულების, საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის ქალაქებისა და სოფლების ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ იმ იაპონელი „სამურაების" საშინელ დანაშაულობებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ მოწოდებული არიან ბატონობ მთელ მსოფლიოზე.

იაპონელ დამპყრობთა გამანადგურებელ დახასიათებას იძლევა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, როცა მოგვითხრობს, თუ რას სჩადიოდნენ ისინი მათ მიერ დამონებულ კორეაში. „აქ,—ამბობდა ლენინი,—შეერთებულია ცარიზმის ყველა მეთოდი, ტექნიკის მთელი უახლესი გაუმჯობესებანი და წამების წმინდა აზიური სისტემა, უმაგალითო მხეცობა" (თხზულ., ტომი XXV, გვ. 502).

იაპონია, რომელიც ფეოდალურ-ბურჟუაზიული მილიტარისტული ზედაფენის ბატონობის ქვეშ იმყოფება, აგრესიული სახელმწიფოს კლასიკური მაგალითი გახდა; ომი და სხვისი ტერიტორიების განუწყვეტელი დაპყრობა მთელი მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ 1894 წლის აგვისტოში იაპონია თავს დაესხა ჩინეთს, რომელიც არ იყო მომზადებული აგრესორისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. მიუხედავად ამისა, რომ ჩინეთის ჯარებმა მამაცური წინააღმდეგობა გაუწიეს (მაგალითად, ვეიხაივეის გარემოცვის დროს), გაცილებით უკეთ შეიარაღებულმა იაპონელებმა მოიგეს ეს ომი და ჩინეთს თავს მოახვიეს ზავის მძარცველური პირობები, რომელთა თანახმადაც ჩინეთი სამუდამოდ ჰკარგავდა ყოველ უფლებას კორეაზე, აძლევდა იაპონიას კუნძულ ფორმოზას და პესკადორის კუნძულებს და 350 მილიონ იენ კონტრიბუციას უხდიდა გამარჯვებულს.

1904 წლის 8 თებერვალს იაპონიის საზღვაო ფლოტი ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს რუსეთის ესკადრას, რომელიც პორტ-არტურის რეიდზე იდგა. მხოლოდ 10 თებერვალს გამოუცხადა იაპონიამ ოფიციალურად ომი რუსეთს. ომისათვის მეფის თვითმპყრობელობის სრულიად მოუმზადებლობამ, მეფის მოხელეებისა და გენერლების დანაშაულებრივმა და უნიჭო ხელმძღვანელობამ გამოიწვია რუსეთის დამარცხება ამ ომში.

მეფის მთავრობა, რომელმაც ვერ მოაწყო ომი ვერც ხმელეთზე, ვერც ზღვაზე და რომელსაც ეშინოდა საკუთარი ხალხის, სახალხო რევოლუციისა, აჩქარდა და დასდო რუსეთისათვის მეტად არახელსაყრელი პორტსმუტის ზავი იმ მომენტში, როცა იაპონია სრული გამოფიტვის პირას იყო.

„არა რუსი ხალხი, არამედ თვითმპყრობელობა დამარცხდა სამარცხვინოდ" (თხზულ., ტომი VII, გვ. 49),—სწერდა მაშინ ლენინი. „მეფის რუსეთის ჩამორჩენილობა ძვირად უჯდებოდა ხალხს",—აღნიშნავს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი".

კიდევ უფრო მეკობრულად და ვერაგულად დაესხა თავს იაპონია ჩვენს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას 1918 წელს. საბჭოთა ხალხმა გმირული თავდადებული ბრძოლით უპასუხა იაპონელთა ინტერვენციას. უკვდავი სახელი მოიხვეჭეს შორეული აღმოსავლეთის პარტიზანებმა, რომელთა შესახებაც ხალხური სიმღერები მოგვითხრობენ. სისხლიანი დანაშაულობანი აქვთ ჩადენილი იაპონელ დამპყრობლებს. ისინი იტაცებდნენ საბჭოთა ზღვისპირეთის სიმდიდრეს, ამასთან ცდილობდნენ გამოჭრილიყვნენ რაც შეიძლება უფრო შორს დასავლეთისაკენ, ცენტრალური ციმბირის უძვირფასესი რაიონებისაკენ.

ლენინმა უკვე მაშინვე გამოიცნო იაპონელი იმპერიალისტების შორს გამიზნული გეგმები და ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის სსრ კავშირის ღრმა ზურგის რაიონებს—ციმბირს, ურალს, რომლებმაც ესოდენ დიდი როლი შეასრულეს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ სამამულო ომში.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1918 წლის 6 მაისის დადგენილებაში, რომელიც ლენინის ხელით არის დაწერილი, ნათქვამი იყო:

„მივმართოთ მთელი ძალ-ღონე ურალკუზნეცკის რაიონისა და ტერიტორიის დასაცავად როგორც იაპონიის, ისე გერმანიისაგან" (თხზულ., ტომი XXX, გვ. 381).

ლენინი და სტალინი წინასწარ ხედავდნენ იაპონიის იმპერიალიზმის განზრახვებს. 1918 წლის 7 აპრილს ლენინისა და სტალინის ხელმოწერით ვლადივოსტოკში გაგზავნილ სპეციალურ დეპეშაში ნათქვამი იყო: „იაპონელები, უეჭველია, შემოგვიტევენ... ამიტომ უნდა შევუდგეთ მზადებას დაუყოვნებლივ და ვემზადოთ სერიოზულად, ვემზადოთ მთელი ძალ-ღონით".

1918-1922 წლებში იაპონელი დამპყრობლების მიერ ზღვისპირეთსა და იმიერ-ბაიკალში ჩადენილი დანაშაულობანი შეიძლება შეედარონ მხოლოდ გერმანელი ფაშისტების მიერ თანამედროვე ომში ჩადენილ მხეცობას. პროვოკაციები, ორგანიზებული ტერორი, მთელი სოფლებისა და ქალაქების ამოხოცვა, ამოუხრებელი ძარცვა, დამსჯელი ექსპედიციები, ძალადობა ქალების მიმართ, ტყვედ წაყვანილ წითელარმიელთა, პარტიზანთა და მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივი დახოცვა, ადამიანთა ცოცხლივ დაწვა—ყოველივე ამას უკვე იმ წლებში ფართოდ მიმართავდა იაპონიის სამხედრო ხროვა.

აი მხოლოდ რამდენიმე ფაქტი მრავალი დოკუმენტიდან შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის ინტერვენციის შესახებ.

„1920 წლის 12 იანვარს სოფელ ვიაზემსკაიაში იაპონელებმა ცოცხლივ დასწვეს საკუთარ სახლებში პარტიზანების ვლასიუკის, კოვალის, პოგორელოვის მამები. სოფელ ოტრადნაიაში 1919 წლის 19 დეკემბერს იაპონელებმა დასწვეს იმ გლეხების 22 სახლი, რომელთა შვილები პარტიზანებთან იყვნენ წასულნი. რვა მოხუცი მამა (ვისკუნოვი, კოსტრიავა, ივანჩუკა და სხვები) დახვრიტეს".

(კრებულიდან „ბრძოლა საბჭოებისათვის შორეულ აღმოსავლეთში", 1932 წლის გამოცემა).

„რაზდოლნოეში... იაპონელები გარს შემოერტყნენ რუსების ყაზარმებს და დაიწყეს ჯარისკაცებისა და დაბის მშვიდობიანი მოსახლეობის კოშმარული ხვრეტა. იაპონელი ჯარისკაცები სულერთიან მთვრალები იყვნენ. ისინი მხეცურად უსწორდებოდნენ ყველას, ვისაც ხელში ჩაიგდებდნენ; არ ინდობდნენ არც ქალს, არც ბავშვს.

აწიოკება მთელ ღამეს გაგრძელდა. დილით საშინელი სურათი იყო. მოედანი მოფენილია ადამიანების გვამებით და ცხენების ლეშით, სახლები დაცხრილულია თოფით და ტყვიამფრქვევით. ბევრ სახლსა და დაწესებულებაში ყველაფერი დანგრეულია, ფასეულობანი დატაცებულია".

(გაზეთი „კრასნოე ზნამია" № 48, 1920 წლის მაისი).

ვლადივოსტოკში, ხაბაროვსკში, ნიკოლსკში, სპასკში, შკოტოვოში, რაზდოლნოეში, პოსიეტსა და სხვა ქალაქებსა და სოფლებში ჩადენილი ველური დანაშაულობებით აღინიშნა იაპონელი ინტერვენტების უდიდესი პროვოკაცია 1920 წლის აპრილში. 4 აპრილს ღამით იაპონელმა ოკუპანტებმა დაარღვიეს თავიანთი ვალდებულებანი, ვერაგულად დაესხნენ თავს რევოლუციურ ნაწილებს და მშვიდობიან მოსახლეობას. ისინი მხეცურად ჟლეტდნენ საბჭოთა ადამიანებს.

„ხაბაროვსკის ქუჩები 6 აპრილს რაღაც საშინელებას წარმოადგენდნენ: ყველგან დახოცილ-დაჭრილნი ეყარნენ, — ვკითხულობთ 1920 წლის 22 მაისის გაზეთ „კრასნოე ზნამიაში".—მოკლულთა აკრეფა და დახმარების გაწევა იმ ასობით დაჭრილთათვის, რომლებიც კვნესოდნენ და სისხლით იცლებოდნენ, ეყარნენ ქვაფენილებზე, ტროტუარებზე და დანგრეულ და დამწვარ შენობათა ნანგრევებში, პირველ ხანს სრულიად შეუძლებელი იყო... იაპონელთა ტყვიები სპობდნენ ყველას განურჩევლად...

იმ უხამსობასა და ძალადობას, რაც იაპონელმა ჯარისკაცებმა ხაბაროვსკში ჩაიდინეს, სხვათა შორის, მიეკუთვნება თითქმის საყოველთაო გაუპატიურება ქალებისა — უკრაინული დაბის მცხოვრებთა ცოლების, ქალიშვილებისა და დედებისა".

ასეთი ძალადობა ყველგან ხდებოდა. აი რამდენიმე სტრიქონი სოფელ კნევიჩის მოქალაქეთა საერთო კრების ოქმიდან: „განსაკუთრებულ შენობაში იაპონელთა შტაბის მეზობლად დაპატიმრებულთ ურტყამდნენ ზუმბას, მათრახსა და სხვ. განსაკუთრებით ულმობლად სტანჯეს მოქალაქენი ფ. კამსკი და გონჩარუკი, რომელთაც გახურებულ ზუმბას ურტყამდნენ, თითებს შუა ჯოხებს უჩრიდნენ, თითებს უგრეხდნენ და სხვ. ტანჯვა-წამება მთელ დღეს გაგრძელდა".

ინტერვენტებმა შეიპყრეს ხალხის თავისუფლებისათვის მამაცი მებრძოლი, პარტიზანული მოძრაობის ორგანიზატორი ბოლშევიკი ლაზო და ორი მისი ამხანაგი, რომლებიც მხეცურად დახოცეს. ისინი ცოცხლივ დასწვეს ორთქლმავლის საცეცხლეში. ლაზოს დაღუპვის შემდეგ კიდევ უფრო აზვირთდა ხალხის სიძულვილი იაპონელი იმპერიალისტებისადმი, რომლებიც ახლად ცდილობდნენ საბჭოთა ადამიანების დამონებას. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წითელმა არმიამ ინტერვენტები, კერძოდ, იმიტომ დაამარცხა, რომ მის რიგებში სხვებთან ერთად იბრძოდნენ ისეთი უბადლო გმირები, როგორიც ლაზო იყო.

ოთხ წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა იაპონელთა ინტერვენცია. წითელი არმიის გმირულმა ბრძოლამ, შორეული აღმოსავლეთის ხალხის მასების მძლავრმა პარტიზანულმა მოძრაობამ, რომელმაც შეაფერხა და შებოჭა დამპყრობთა მოქმედება, გამოიწვია რუსეთის მიმართ იაპონიის იმპერიალიზმის მთელი დაპყრობითი გეგმების ჩაშლა. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა შორეულ აღმოსავლეთში.

ბოლშევიკების პარტია იმ წლებში გამოვიდა როგორც შესანიშნავი ორგანიზატორი საყოველთაო სახალხო ბრძოლისა იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ. პარტიის საუკეთესო შვილებმა თავი დასდეს სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ლენინი და სტალინი ხელმძღვანელობდნენ წითელი არმიის მოქმედებას, შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების შექმნას, პარტიზანულ მოძრაობას.

1922 წლის 25 ოქტომბერს წითელმა არმიამ გაათავისუფლა ქალაქი ვლადივოსტოკი. მაშინ ლენინი აღნიშნავდა ჩვენი ზღვისპირეთის უდიდეს მნიშვნელობას მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის: „ვლადივოსტოკი შორს არის, მაგრამ ეს ქალაქი ხომ ჩვენია",—ამბობდა იგი. ინტერვენციისაგან შორეულ აღმოსავლეთის განთავისუფლებასთან დაკავშირებით ლენინმა მილოცა „ეს ახალი გამარჯვება რუსეთის ყველა მშრომელსა და გმირ წითელ არმიას".

აგრესიის ურიცხვი აქტებით, ვერაგული და საზიზღარი თავდასხმებით, სხვისი ტერიტორიის დაპყრობით არის აღბეჭდილი იაპონიის მოქმედება შემდგომი 20 წლის განმავლობაშიც.

1932 წლის მარტისათვის იაპონიამ მოახდინა მანჯურიის ოკუპაცია, „დამოუკიდებელ" სახელმწიფო მანჯოუ-გოდ გამოაცხადა და იგი თავის კოლონიად გადააქცია.

1937 წელს იაპონელები ჩინეთში შეიჭრნენ. დღემდე იაპონიის არმიები თარეშობენ ჩინეთის ტერიტორიის ნახევარზე, სადაც გამეფებულია იაპონელთა სისხლიანი ტერორი და უსასტიკესი ძალადობა.

იაპონია ამ წლების განმავლობაში რამდენჯერმე ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანასაც. მან მრავალჯერ გამოიწვია პროვოკაციით „სასაზღვრო ინციდენტები", რომელთაგან ბევრი უდიდეს ბრძოლად გადაიქცა. წითელმა არმიამ, რომელიც თავდადებით იცავს საყვარელი საბჭოთა სამშობლოს ინტერესებს, მთელი რიგი მკაცრი გაკვეთილები მისცა იაპონელ დამპყრობლებს. ყველას ახსოვს 1938-1939 წლების ბრძოლები ხასანის ტბასთან—საბჭოთა ზღვისპირეთში და მდინარე ხალხინ-გოლთან—ჩვენი მოკავშირე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ბრძოლები, რომლებშიც წითელმა არმიამ სასტიკად დაამარცხა იაპონიის ჯარები, უდიდესი ზარალი მიაყენა მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

იაპონია ერთ-ერთი აგრესიული სახელმწიფოა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი გააჩაღა. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში" აღნიშნულია, რომ „ომი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაიწყო სამმა აგრესიულმა სახელმწიფომ,—გერმანიის, იტალიის, იაპონიის ფაშისტურმა მმართველმა წრეებმა".

1941 წლის დეკემბერში იაპონელები, ერთგულნი თავიანთი ავაზაკური ტრადიციებისა, ვერაგულად დაესხნენ თავს ამერიკისა და ინგლისის სამფლობელოებს წყნარ ოკეანეში. ომის პირველსავე წელს მათ ხელთ იგდეს უზარმაზარი ტერიტორიები, არა მარტო ინგლისისა და ამერიკისა, არამედ აგრეთვე საფრანგეთის, ჰოლანდიისა და პორტუგალიისაც კი.

ამხანაგი სტალინი, [illegible] მის მიერ აღნიშნულ [illegible] მოვლენებს, [illegible] რომ ომით დაინტერესებული [illegible] ერები, რომლებიც დიდი ხნიდან ემზადებიან ომისათვის და ომისთვის ძალებს იკრებენ, ჩვეულებრივად ომისათვის უფრო მომზადებული აღმოჩნდებიან ხოლმე, ვიდრე მშვიდობისმოყვარე ერები, მიუთითებდა იმპერატორის იაპონიისა და ჰიტლერის გერმანიაზე.

„შემთხვევითობად არ შეიძლება ჩაითვალოს,—ამბობდა ამხანაგი სტალინი 1944 წლის 6 ნოემბერს,—ისეთი არასასიამოვნო ფაქტები, როგორც „ინციდენტი" პერლ-ჰარბორში, ფილიპინებისა და სხვა კუნძულების დაკარგვა წყნარ ოკეანეში, ჰონკონგისა და სინგაპურის დაკარგვა, როდესაც იაპონია, როგორც აგრესიული ერი, უფრო მომზადებული აღმოჩნდა ომისათვის, ვიდრე დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას ადგნენ".

გერმანიისა და იაპონიის გენერალური შტაბების გეგმებში შედიოდა უღირსად თავხედური ავანტიურისტული ვარაუდი სსრ კავშირის ტერიტორიაზე, ინდოეთის ტერიტორიაზე აგრესორთა „შეხვედრის" შესახებ. მათ ერთმანეთთან აკავშირებდათ ჯერ კიდევ 1936 წელს დადებული „ანტიკომინტერნული პაქტი", ყბადაღებული „ღერძი" ბერლინი-რომი-ტოკიო, მხეცური სიძულვილი სსრ კავშირისადმი და სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხებისადმი, მისწრაფება სხვა ხალხებზე ბატონობისადმი.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის მთელ მანძილზე იაპონია აქტიურად ეხმარებოდა გერმანელ ფაშისტებს. გერმანიის მოკავშირე იაპონიას საბჭოთა კავშირის საზღვრებზე ჰყავდა უზარმაზარი არმია, რითაც ჰბოჭავდა ჩვენი ჯარების მნიშვნელოვან რაოდენობას, რომლებიც ესოდენ საჭირონი იყვნენ საბჭოთა კავშირისათვის გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამავე დროს იაპონია პროვოკაციულად დაესხა თავს სსრ კავშირის მოკავშირეებს — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს, რითაც დახმარება აღმოუჩინა ჰიტლერულ გერმანიას. თავის 1945 წლის 5 აპრილის განცხადებაში საბჭოთა კავშირ-იაპონიის ნეიტრალიტეტის პაქტის დენონსაციის შესახებ ჩვენი მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „იაპონია, გერმანიის მოკავშირე, ეხმარება ამ უკანასკნელს მის ომში სსრ კავშირის წინააღმდეგ".

იაპონელმა იმპერიალისტებმა უკვე დიდი ხანია შეიმუშავეს თითქმის მთელი მსოფლიოს დამონების საშინელი გეგმა. უკვე ორი ათეული წლის წინათ ფართოდ გახდა ცნობილი ტექსტი საიდუმლო დოკუმენტისა, რომელიც იაპონიის იმპერატორს მიართვა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა გენერალმა ტანაკამ, და რომელმაც მიიღო „ტანაკას მემორანდუმის" სახელწოდება. ეს არის მსოფლიო ბატონობის თანმიმდევრულად მოპოვების პროგრამა. მემორანდუმი მანჯურიის დაპყრობას ასაბუთებს, როგორც ჩინეთის დაპყრობის აუცილებელ წანამძღვარს, შემდეგ—ჩინეთის დაპყრობას, როგორც „ყველა დანარჩენი აზიური ქვეყნის" დაპყრობის აუცილებელ წანამძღვარს. შემდგომში გათვალისწინებული იყო თავდასხმა სსრ კავშირზე. მემორანდუმში ნათქვამი იყო: „ჩვენი ეროვნული ზრდის პროგრამაში შედის, როგორც ჩანს, საჭიროება კვლავ შევებათ რუსეთს..."

იაპონიის მმართველი ხროვა სისტემატურად უნერგავდა თავში იაპონელებს მსოფლიო ბატონობის, დედამიწის ყველა სხვა ხალხთა წინაშე იაპონელი ერის რასობრივი უპირატესობის ფაშისტურ იდეებს. რასობრივი სიძულვილის მხეცურმა იდეოლოგიამ მოსწამლა იაპონიაში მილიონობით ადამიანი, რომლებიც ათეულ წლობით იზრდებოდნენ ჩინელების, ინდოელების, ამერიკელებისა და რუსებისადმი სიძულვილის სულისკვეთებით.

ფართოდ არის ცნობილი იაპონიის იმპერიალიზმის ერთ-ერთი ყველაზე თავხედი და გულმოდგინე პროპაგანდისტის გენერალ არაკის გამოსვლები. მისი ბაქია ფრაზები, როგორიცაა—„ჩვენ ვუცხადებთ მთელ მსოფლიოს, რომ ჩვენ ვართ მილიტარისტების ერი", „ხოცეთ ულმობლად", „უჩვენეთ იაპონიის, აზიის სული მტრულ ევროპასა და ამერიკას"—იაპონიის სამხედრო ხროვის ლოზუნგები გახდა.

იაპონიის მთავრობები, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, პრაქტიკით ახორციელებდნენ მსოფლიოზე ბატონობის მოპოვების ყბადაღებულ პროგრამას. სისხლისმღვრელი ინტერვენცია ჩინეთში, თავდასხმები საბჭოთა ტერიტორიაზე, საზღვაო ლაშქრობანი პერლ-ჰარბორზე, ფილიპინებზე, ახალ გვინეაზე, თვით ავსტრალიის საზღვრებამდე, სახმელეთო ექსპედიციები მალაიასა და ბირმაში, ინდოეთის საზღვრებისაკენ, ცდები — შემოჭრილიყვნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე—ასეთია იაპონიის ფაშისტურ იმპერიალისტთა დამპყრობლური საქმეები.

ისევე, როგორც ჰიტლერელებმა თავიანთი „ახალი წესრიგი" დაამყარეს ევროპაში, იაპონელმა იმპერიალისტებმაც გამოაცხადეს თავიანთი „ურთიერთაყვავების აღმოსავლეთ-აზიური სფერო". ამ „სფეროში" ხალხებს არა მარტო ეროვნული დამოუკიდებლობა ერთმეოდათ, არამედ ისინი იაპონელ დამპყრობთა მონებადაც ხდებოდნენ. სრული პოლიტიკური და ეკონომიური დამონება, მილიონობით ადამიანის მოსპობა—აი რა მოჰქონდათ ყველგან იაპონელ დამპყრობლებს.

იაპონიის ავაზაკურმა იმპერიალიზმმა თავი გამოიჩინა როგორც საბჭოთა კავშირისა და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მოსისხლე მტერმა. მაგრამ ახლოსაა საზღაური იაპონიის სამხედრო ხროვის ყველა უმაგალითო დანაშაულისათვის. თავისი სამოკავშირეო მოვალეობის ერთგული საბჭოთა მთავრობა შეუერთდა მოკავშირე სახელმწიფოების ამა წლის 26 ივლისის განცხადებას და 9 აგვისტოდან ომი გამოუცხადა იაპონიას.

საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა თავისი მშობლიური მთავრობის გადაწყვეტილება ომი გამოუცხადოს აგრესიულ იაპონიას, როგორც ბრძნული და სწორი გადაწყვეტილება, რომელიც შეეფერება ჩვენი ქვეყნის ხალხთა ინტერესებს. მან იცის, რომ ეს არის ერთადერთი საშუალება მოვახლოოთ მშვიდობიანობის დამყარება, უზრუნველყოთ ჩვენი საზღვრების სრული უშიშროება, გავათავისუფლოთ ხალხები შემდგომი მსხვერპლისა და ტანჯვისაგან. გმირი წითელი არმია, რომელსაც ხელმძღვანელობს სტალინის გენია, რომელიც გამსჭვალულია თავისი საქმის სიმართლის შეგნებით, სრულ გამარჯვებამდე მიიყვანს თავის სამართლიან ომს იაპონელ აგრესორის წინააღმდეგ.

ბ. ლეონტიევი

(„პრავდა", 11 აგვისტო).

აცანის ჩაის ფაბრიკის სტახანოველი ჯ. ჭანტურიშვილი, რომელიც გეგმას 800 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) რაიონული კომიტეტების პლენუმები

ორჯონიკიძე

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგოულის) რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: 1. 1945-46 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობა; 2. რკინიგზის ხარაგოულის ლიანდაგის დარგის და ფარცხნალის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციების ანგარიში პარტიაში მიღების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. გ. კიკნაძემ.

— რაიონის მთელი რიგი სკოლები,—სთქვა მომხსენებელმა,—კარგად ემზადებიან ახალ სასწავლო წლისათვის. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა სოფელ ვახანის არასრულ საშუალო სკოლას. ამ საქმეში ფართოდ იქნა გამოყენებული ადგილობრივი საშუალებანი და რესურსები. ახალი სასწავლო წლისათვის კარგად ემზადებიან სოფელ ზვარის არასრულ საშუალო სკოლა და სოფელ ხარაგოულის პირველი და მეორე საშუალო სკოლები. ქვიშის, დეისის, წიფის, უბისისა და მთელი რიგი სხვა სოფლების სკოლებმა კარგად ჩაატარეს სასკოლო ასაკის ბავშვების აღწერა.

ახალი სასწავლო წლისათვის ცუდად ემზადებიან ხევის, სალანძილის, ლახუნდარისა და ღორეშის სკოლები. ლახუნდარის დაწყებითი სკოლის შენობა მოუწყობელია. იგი კაპიტალურ რემონტს მოითხოვს. სკოლას სათანადო დახმარებას არ უწევენ ადგილობრივი ორგანოები.

ცუდი მდგომარეობაა სკოლების სათბობით მომარაგების საქმეში. ზოგან სათანადოდ არ ზრუნავენ ეზოების შემოღობვისა და სისუფთავის დაცვისათვის. ეს პირველ რიგში ეხება წყალაფორეთისა და მარელისის არასრულ საშუალო სკოლებს. სასკოლო ასაკის ბავშვების აღწერა დღემდე არ დაუმთავრებიათ ჩხერის, თეთრიწყაროს, ბორის, ლახუნდარის და სხვა სოფლების სკოლებს.

მეორე საკითხზე პლენუმმა მოისმინა რკინიგზის ხარაგოულის ლიანდაგის დარგისა და ფარცხნალის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ამხ. ი. მჭედლიძისა და ამხ. მ. შარიქაძის მოხსენებები.

მეორე საკითხის გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 3 ამხანაგმა.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

ქ. სახვაძე

ჩხოროწყუ

საქართველოს კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომის პლენუმზე კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების შესახებ მოხსენება გააკეთა რაიმიწგანის გამგემ ამხ. შ. ზარანდიამ.

კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის განვითარების დარგში. 1941-45 წლების განმავლობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა რაიონში გაიზარდა 24,4 პროცენტით, თხისა 75,1 პროცენტით, ღორისა 64,8 პროცენტით და ცხენისა 10,7 პროცენტით.

პლენუმზე გამოირკვა, რომ მეცხოველეობის საქმეში რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი. მეცხოველეობის განვითარების მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან სოფელ ჩხოროწყუს კოლმეურნეობა „ბოლშევიკი", სოფელ ახუთის ლენინისა და 7 ნოემბრის სახელობის, სოფელ ნაკიანის სტალინის სახელობის, სოფელ ლესიჭინეს კიროვის სახელობის, სოფელ ჭოლის ჩარკვიანის და ბერიას სახელობისა და სოფელ ნაფიჩხოვოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობები. საქონლის მოვლის, კვების, შენახვისა და ზოოვეტმომსახურების არადამაკმაყოფილებლად დაყენების გამო ადგილი ჰქონდა პირუტყვის სიკვდილიანობას.

მეორე საკითხზე—პარტიაში მიღების შესახებ რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში — მოხსენებით გამოვიდა რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ნ. მასხარაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიაში ახალმიღებულთა შორის მუშაობა შედარებით კარგად არის დაყენებული სოფელ ზუმის კიროვის და სოფელ ხაბუმეს ბერიას სახელობის კოლმეურნეობების, რაისაბჭოს აღმასკომის, სოფელ ჭოლის ტერიტორიულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. მაგრამ ასე არ არის საქმე სოფელ ლესიჭინეს კიროვის სახელობის, სოფელ ახუთის ლენინის სახელობის, სოფელ ლეწურწუმეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობებისა და სოფელ თაიასა და ლესიჭინეს ტერიტორიულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. ეს ორგანიზაციები პარტიის წევრობის კანდიდატებს შორის მუშაობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ, არ ეწყობა კანდიდატთა თათბირები, ყველა კანდიდატს არა აქვს პარტიული დავალება, ისინი არ მონაწილეობენ პარტიული კრებისათვის საკითხის მომზადებაში და სხვ.

პლენუმმა განხილული საკითხების გამო მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

გ. პაპავა

სახელოვანი იუბილე

(რუსული სამხედრო ჰაერონაოსნობის 75 წლისთავისათვის)

ადამიანმა პირველად მხოლოდ 1783 წელს მოახერხა მოსწყვეტოდა მიწას და საჰაერო ოკეანის უსაზღვრო სივრცეში გაფრენილიყო აეროსტატით (საჰაერო ბურთით). თერთმეტი წლის შემდეგ, 1794 წელს მობეჟის ბრძოლაში ბრძოლის ველზე ჰაერში ეკიდა დასაბმელი საჰაერო ბურთი, რომლის კალათიდანაც მსოფლიოში პირველი სამხედრო ჰაერნაოსანი — ფრანგი კუტელი—უთვალთვალებდა ავსტრიის ჯარების მოძრაობას და სიგნალიზაციით ატყობინებდა მათ შესახებ თავის სარდლობას მიწაზე. საჰაერო ბურთმა განსაკუთრებით დიდი სამსახური გაუწია ფრანგებს გერმანელების მიერ პარიზისათვის ალყის შემორტყმის დროს 1870 წელს. საჰაერო ბურთი მაშინ ერთადერთი საშუალება იყო მტრის მიერ გარემოცული ქალაქისათვის საფრანგეთის დანარჩენ ნაწილებთან კავშირის დასამყარებლად.

რუსეთში ჰაერნაოსნობას აგრეთვე დიდი ხანია იცნობდნენ. ჯერ კიდევ 1869 წელს სამხედრო მინისტრის ბრძანებით შექმნილ კომისიას უნდა აეგო დასაბმელი აეროსტატი და გამოერკვია ჯარში მისი გამოყენების მიზანშეწონილობა. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგად კომისიამ დადებითი დასკვნა გამოიტანა და დაადასტურა, რომ 50-100 საჟენ სიმაღლეზე აეროსტატის კალათიდან კარგად შეიძლებოდა ადგილმდებარეობის თვალთვალი 30 ვერსის რადიუსამდე და მონახაზების გაკეთებაც კი.

წინასწარი ცდების შემდეგ პეტერბურგიდან, სადაც ზოოლოგიურ ბაღში სწარმოებდა პირველი აშვება, აეროსტატი სალაშქრო წესით გადაყვანილ იქნა უსტ-იჟორის მესანგრეთა ბანაკში. იქ 1870 წლის 23 ივლისიდან 1 აგვისტომდე (ძველი სტილით) მოახდინეს პირველი აშვება უშუალოდ ჯარის ნაწილში. კომისიის მუშაობის დამთავრების დღე 1870 წლის 1 აგვისტო (13 აგვისტო ახალი სტილით) მიღებულია ჩაითვალოს რუსული სამხედრო ჰაერნაოსნობის ჩასახვის თარიღად. პირველი საარმიო ჰაერსნაოსნო ნაწილების ჩამოყალიბებისა და მათი რეორგანიზაციის შემდეგად რუსეთის სამხედრო ჰაერნაოსნობის ძირითადი ცენტრი ხდება ეგრეთწოდებული „ვოლკოვო პოლე" პეტერბურგში, სადაც თანდათანობით იქმნება ჰაერსნაოსნო პარკი და ოფიცერთა სამხედრო-ჰაერსნაოსნო სკოლა, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გენერალ-ლეიტენანტი ა. მ. კოვანკო.

აქ, დასაბმელი აეროსტატებით აშვებისა და საჰაერო ბურთებით თავისუფალი ფრენის შესრულების გარდა, 1908 წელს აგებულ იქნა აგრეთვე პირველი რუსული დირიჟაბლი „უჩებნი", რომლითაც სამხედრო ჰაერნაოსნებმა რამდენიმე გაფრენა მოახდინეს.

საბრძოლო ნათლობა რუსულმა ჰაერნაოსნობამ პირველად მიიღო რუსეთ-იაპონიის ომის დროს 1904-1905 წლებში. ჰაერნაოსნებმა თავიანთი მუშაობით, რასაც ისინი ხშირად საარტილერიო ცეცხლქვეშ ასრულებდნენ, ბრწყინვალედ დაამტკიცეს მთელი მიზანშეწონილობა ამ ახალი ტექნიკის გამოყენებისა ბრძოლის ველზე ყოველგვარ საბრძოლო პირობებში. საინტერესოა აღინიშნოს ჩვენი სამხედრო ჰაერნაოსნების ცდა—უკვე იმ დროს გამოეყენებინათ დასაბმელი აეროსტატი საზღვაო ფლოტში სამუშაოდ. ამისათვის სპეციალურად იყო მოწყობილი კრეისერი „რუსი", რომელიც, ამრიგად, გახდა მსოფლიოში პირველი „აეროსანი" და თანამედროვე „ავიანოსების" წინამორბედი.

1914-1917 წლების იმპერიალისტური ომის დასაწყისისათვის რუსეთის სამხედრო ჰაერნაოსნობას თავის შემადგენლობაში (ციხე-სიმაგრეებში) უკვე ჰყავდა ჰაერსნაოსნო ასეულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა დასაბმელი და სამართავი აეროსტატებისანად, რომლებმაც არმიას დიდი სარგებლობა მოუტანეს. საბრძოლო ოპერაციების ხასიათის ცვლილებამ შემდეგში ჰაერნაოსნების ოპერაციები გადააქცია დასაბმელ აეროსტატებზე მუშაობად, რომლებიც მოწინააღმდეგის ზურგის ხანგრძლივი დაზვერვისა და არტილერიის ცეცხლის კორექტირების ებადლო საშუალება გახდნენ. არტილერიასთან ჰაერნაოსნების ერთობლივი მუშაობის შედეგები იმდენად წარმატებითი იყო, რომ სარდლობის მხრივ ჰაერსნაოსნო ნაწილების მოთხოვნა სულ უფრო დიდდებოდა. 1914-1917 წლებში ომის დასასრულისათვის ფრონტზე იყო 87 ჰაერსნაოსნო რაზმი, ორი საცხოვრო-საზღვაო ჰაერსნაოსნო ასეული (რეველისა და სვეაბორგისა), 14 დივიზიონი და 4 პარკი.

ახალგაზრდა ჰაერნაოსნები გმირული ღონისძიებებით ჰქმნიდნენ პირველ ნაწილებს, რომლებმაც თავიანთი საბრძოლო მუშაობით ყველა ფრონტზე მრავალი სასახელო ფურცელი ჩასწერეს მამაცი წითელი არმიის გმირულ ბრძოლის ისტორიაში. უკვე 1918 წლის სექტემბერ-ოქტომბერში პირველი ჰაერსნაოსნო რაზმები, რომლებიც ის-იყო მოვიდნენ ფრონტზე, შეუდგნენ მუშაობას ვოლგის სამდინარო ფლოტილიასთან ერთად. აშვებული აეროსტატი იყო ფლოტილიის ხომალდების ის გამჭრიახი თვალი, რომელიც „სინჯავდა" მოწინააღმდეგის ნაპირებს ამოფარებულ განლაგებას და აკორექტებდა მცურავი ბატარეების სროლას.

საბჭოთა სამხედრო ჰაერნაოსნებმა, რომლებიც სამოქალაქო ომში ყველა ფრონტზე უაღრესად რთულ და მკაცრ პირობებში მუშაობდნენ, იპოვნეს კიდევ ერთი ახალი და უაღრესად მიზანშეწონილი საშუალება საბრძოლო მოქმედებისა—მათ დასაბმელი აეროსტატები გამოიყენეს ჯავშნიან მატარებლებთან ერთობლივი მუშაობისათვის. ასეთი თანამეგობრობის ხელსაყრელობის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც მაშინდელი მე-8 ჰაერსნაოსნო რაზმის მოქმედების მიხედვით ყირიმის ფრონტზე. ნახევარი წლის მუშაობის განმავლობაში მან, მიუხედავად უაღრესად არახელსაყრელი ვითარებისა, მოახდინა 226 აფრენა და ჰაერში დაჰყო საერთო რიცხვით 500 საათზე მეტ ხანს. 1920 წელს მაშინ მომუშავე 24 ჰაერსნაოსნო რაზმმა ორი ათასზე მეტი აფრენა მოახდინა და ჰაერში დაჰყო დაახლოებით 3.300 საათი. მათ მოახდინეს 547 ძვირფასი დაკვირვება, აღმოაჩინეს მოწინააღმდეგის 108 ბატარეა და დააკორექტეს არტილერიის სროლა 106 ბატარიისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტის წინააღმდეგ.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა სამხედრო ჰაერნაოსნები შეუდგნენ თავისუფალი და სამართავი ჰაერნაოსნობის აღორძინებას.

ოცდახუთი წლის წინათ—1920 წლის 27 ივლისს—რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ნებართვით წითელი მოედნიდან მოსკოვში ჩვენ მოვახდინეთ საბჭოთა რუსეთში პირველი თავისუფალი გაფრენა სფერული აეროსტატით, ამასთან საბჭოების ქვეყნის წითელი ალამი პირველად იქნა ატანილი 5.000 მეტრზე—ჩვენი თვითმფრინავებისათვის იმ დროს მიუღწეველ სიმაღლეზე.

ამ ისტორიული გაფრენის შედეგის შესახებ ჩვენ ვუპატაკეთ დიდ ლენინს და ამ გაფრენით ფაქტიურად დასაბამი მივეცით საბჭოთა თავისუფალ ჰაერნაოსნობას, რომელმაც შემდეგში რუს პილოტებს დამსახურებული სახელი მოუხვეჭა. ჩვენმა საბჭოთა პილოტებმა მოახდინეს ყველაზე შორეული, ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე მაღალი გაფრენები. აეროსტატით ძირს დაუშვებლად შორი გაფრენის მსოფლიო რეკორდი დაამყარეს ახალგაზრდა პილოტებმა ბ. ა. რომანოვმა და ა. ი. ბობიკინმა 1935 წლის სექტემბერში, როდესაც ისინი 56 საათში ძირს დაუშვებლად მოსკოვიდან გაფრინდნენ ყაზახეთში და 2.300 კილომეტრი გაიარეს. იმავე დროს პილოტმა ი. ი. ზიკოვმა და ა. მ. ტროპინმა მოახდინეს გაფრენა, რომელიც განუწყვეტლივ გრძელდებოდა 91 საათსა და 35 წუთს. ეს გაფრენა არ იყო რეგისტრირებული როგორც მსოფლიო, ვინაიდან ძირს დაშვებისას დაზიანებული აღმოჩნდა დალუქული საკონტროლო ბაროგრაფი.

სიმაღლისათვის ბრძოლაში ჩვენი საბჭოთა ჰაერნაოსნები პირველ რიგებში აღმოჩნდნენ. ყველას ახსოვს პირველი რუსული სტრატოსტატით „ოსოავიახიმ-1" გაფრენა 1934 წლის 30 იანვარს, როდესაც ფედოსეენკომ, ვასენკომ და უსისკინმა რადიოთი გვაცნობეს მიწაზე, რომ მათ მიერ მიღწეული სიმაღლე ალტიმეტრით 22.000 მეტრს უდრიდა. სტრატოსტატ „სსრ კავშირის" პილოტმა—სამხედრო ჰაერნაოსანმა გ. პროკოფიევმა 1934 წლის 30 სექტემბერს 19.000 მეტრ სიმაღლეს მიაღწია.

საბჭოთა პილოტებმა ბევრი გაფრენა მოახდინეს სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერო გამოკვლევისათვის.

1920 წლიდან ჩვენს ქვეყანაში დაიწყო აღორძინება სამართავი ჰაერნაოსნობისა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამხედრო საქმეში, არამედ მშვიდობიან ვითარებაში მუშაობისთვისაც (საჰაერო მიმოსვლა დიდ მანძილზე და დიდი ტვირთების გადატანა, მუშაობა თევზის სვლის დასაზვერავად, ტყეების დაცვა, ტყის ხანძრებთან ბრძოლა, ნარკინიგზო ძიებანი, ყოველგვარი სამეცნიერო დაკვირვება, საჰაერო ფოტოგადაღება და სხვ.). დაიწყო საბჭოთა კონსტრუქციის საკუთარი დირიჟაბლების შექმნა. 1922 წელს „გლავვოზდუხოფლოტი" იღებს პატარა სასწავლო დირიჟაბლის „ანოშჩენკო-1"-ის ჩვენ მიერ შემუშავებულ პროექტს. 1923 წელს ლენინგრადის უმაღლეს სამხედრო ჰაერსნაოსნო სკოლაში აგებულ იქნა სასწავლო დირიჟაბლი „VI ოქტომბერი", ხოლო მოსკოვში ერთ-ერთი ქარხნის მუშათა თაოსნობით და ინჟინერ ნ. ბ. ფომინის პროექტით შენდებოდა პირველი საბჭოთა დირიჟაბლი, „მოსკოველი ქიმიკოსი-მერეხინე" (რომელსაც შემდეგ ეწოდა „კომსომოლსკაია პრავდა").

შემდეგში, სპეციალურ ორგანიზაცია „დირიჟაბლესტროის" შექმნით ჩნდება სხვადასხვა კონსტრუქციის მთელი რიგი საცდელი საჰაერო ხომალდები, რომლებმაც მრავალი წარმატებით გაფრენა მოახდინეს და მნიშვნელოვანი კადრები მოამზადეს.

დიდი სამამულო ომის დღეებში უდიდესი გავრცელება მოიპოვეს ჩვენში ეგრეთწოდებულმა „გადამღობმა აეროსტატებმა", რომლებმაც შეგვინარჩუნეს სახელმწიფო მნიშვნელობის ბევრი ძვირფასი ობიექტი. მათ დიდი როლი შეასრულეს ჩვენი დედაქალაქის დაცვაშიც.

გმირულად მუშაობდნენ სამამულო ომის ფრონტებზე ეკიპაჟები დასაბმელი აეროსტატებისა („სათვალთვალო აეროსტატები"), რომლებითაც ჩვენი სამხედრო ჰაერნაოსნები მტრის ავიაციისა და არტილერიის ცეცხლქვეშ ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ხანგრძლივ თვალთვალს და ბატარეების ცეცხლის კორექტირებას.

იმ სარგებლობამ, რაც გადამღობმა აეროსტატებმა და სათვალთვალო აეროსტატებმა ფრონტებზე მოიტანეს, ხოლო დირიჟაბლებმა და თავისუფალმა აეროსტატებმა („საჰაერო ბურთებმა" და სტრატოსტატებმა) ზურგში, ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ჰაერნაოსნობას ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობა აქვს თავისი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესორი ნ. ანოშჩენკო

ძეგლი ბრესლაუში წითელი არმიის ოფიცრებისა და მებრძოლების საფლავზე, რომლებიც დაიღუპნენ გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

ფოტო ე. ევზერიხინისა (საკდესის ფოტო-ქრონიკა).

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 30 წლისთავი

საღამო დუშეთში

11 აგვისტოს დუშეთში შესდგა ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო. თბილისიდან აქ ჩამოვიდა პარტიული ორგანიზაციების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მრავალი წარმომადგენელი.

საღამო გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივნის ი. ლუდუშაური შესავალი სიტყვით.

მოხსენება ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა დ. ბენაშვილმა. სიტყვები წარმოსთქვეს გ. ჯიბლაძემ და ბ. ჟღენტმა. ვაჟა-ფშაველასთან შეხვედრათა შესახებ საინტერესო მოგონებანი წაიკითხა პროფესორმა მ. ზანდუკელმა.

ვაჟა-ფშაველასი და მისდამი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: ი. მოსაშვილმა, კ. ჭიჭინაძემ, რ. მარგიანმა, ა. მაშაშვილმა, გ. შატბერაშვილმა, ი. ნონეშვილმა, გ. ლეონიძემ, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობმა ს. ზაქარიაძემ.

თავიანთი ლექსები წაიკითხეს კოლმეურნეებმა ა. ხუცურაულმა, ნ. ბეღულაურმა, მასწავლებელმა ქეთევან ქურდოვანიძემ.

მიტინგი ჩარგალში

12 აგვისტოს პოეტის სამშობლოში — დუშეთის რაიონის სოფელ ჩარგალში, შესდგა ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი.

აქ დილიდანვე იწყო დენა საქართველოს დედაქალაქისა და ახლო-მახლო რაიონების და სოფლების მრავალმა წარმომადგენელმა.

თვალწარმტაც ადგილას მდებარე ეზოში, რომელსაც მაღალი მთები არტყია გარს, გაიმართა მიტინგი.

მიტინგი გახსნა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ლუდუშაურმა.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს ბ. ჟღენტმა, საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ვ. თოფურიამ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ა. ბარამიძემ, სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის წარმომადგენელმა ვ. გოლცევმა, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა შ. ღამბაშიძემ.

შემდეგ ლექსები წაიკითხეს პოეტმა გ. ლეონიძემ, ვაჟა-ფშაველას შვილმა ვ. რაზიკაშვილმა, თიანეთის რაიონის სოფელ ვეძათხევის მასწავლებელმა ა. კუდიაშვილმა, სოფელ მაღაროსკარის სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ უ. ბოძაშვილმა, თიანეთიდან ჩამოსულმა ი. ქისტაურმა, მასწავლებელმა ქ. ქურდოვანიძემ.

ვაჟა-ფშაველას ლექსები განსაკუთრებული წარმატებით წაიკითხა მსახიობმა ს. ზაქარიაძემ.

სტუმრებმა დაათვალიერეს დიდი პოეტის სახლი.

ენერგეტიკოსთა სრულიად საკავშირო კონკურსი

ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატმა გამოაცხადა სრულიად საკავშირო კონკურსი საუკეთესო წინადადებაზე, ელექტრობისა და თბოენერგიის მომჭირნეობის დარგში.

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ენერგიატევადი აგრეგატების მუშაობის ახალი ეკონომიური რეჟიმების დანერგვას, დანაკარგის შემცირებას ელექტრობისა და თბოქსელებში, ელექტროღუმელებში, ელექტროტრანსპორტზე, სხვადასხვა ტექნიკურ სიახლეთა გამოყენებას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ენერგეტიკოსებს, მექანიკოსებს, ტექნოლოგებს, მეცნიერების მუშაკებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, აგრეთვე დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების კოლექტივებს.

საუკეთესო წინადადებათათვის დაწესებულია 3 პრემია თვითეული 15 ათასი მანეთი, 5 პრემია თვითეული 10 ათასი მანეთი, 10 პრემია თვითეული 5 ათასი მანეთი, 25 პრემია თვითეული 2 ათასი მანეთი და 40 პრემია თვითეული ერთი ათასი მანეთი. (საკდესი).

ისტორიული თარიღი

(ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა გაფიცვის 45 წელი)

თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა 1900 წლის აგვისტოს გაფიცვით იწყება კავკასიის პროლეტარიატის აშკარა გამოსვლა თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. ამ გაფიცვამ ნათელჰყო თბილისის მუშების პოლიტიკური სიმწიფე. გაფიცვა იყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების პირველი პრაქტიკული შედეგი, ახალი ტაქტიკის—მასობრივი პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკის განხორციელების შედეგი, იმ დიდი მუშაობის შედეგი, რაც ახალგაზრდა სტალინმა გასწია ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში. სასტიკ ბრძოლაში „მესამე დასის" ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგ, თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ლენინის გზით წავიდა.

თავის ნაშრომში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" ამხანაგი ლ. პ. ბერია ამბობს:

„1900 წლის აგვისტოში რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მ. ი. კალინინის აქტიური მონაწილეობით აწყობენ გრანდიოზულ გაფიცვას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4 ათასამდე მუშამ".

ამ გაფიცვამ დასაბამი მისცა კავკასიის პროლეტარიატის ორგანიზებულ გამოსვლას პოლიტიკური ბრძოლის სარბიელზე.

• • •

მას შემდეგ, რაც 1898 წელს ი. ბ. სტალინმა თბილისის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა წრეები მოაწყო, დარაზმა მუშათა ამ დიდი არმიის საუკეთესო ნაწილი რევოლუციური მარქსიზმის დროშის გარშემო, დაუკავშირა იგი თბილისის სხვა საწარმოთა მუშებს, მთავარი სახელოსნოები რევოლუციური ბრძოლის სკოლად იქცა. 1907 წელს, როდესაც ი. ბ. სტალინი ახასიათებდა მუშა-ბოლშევიკ გ. თელიას, მთავარი სახელოსნოს შესახებ აღნიშნავდა, რომ იგი 1900 წლის დასაწყისიდან წარმოადგენდა მუშათა პოლიტიკური წვრთნის დიად სკოლას. 1940 წელს მ. ი. კალინინმა სთქვა:

„მეფის რუსეთში არ ყოფილა ისეთი დიდი საწარმოები, სადაც არ მსახურობდნენ თბილისის რკინიგზელთა საუკეთესო წარმომადგენლები. მერე რამდენი ადამიანი დაიღუპა მეფის თვითმპყრობელობასთან უშუალო შეტაკებაში! რამდენი გაიგზავნა კატორღასა და გადასახლებაში. ასე იქმნებოდა თბილისის რკინიგზელთა ტრადიციები მაღალი იდეალებისათვის, მუშათა კლასის უკეთესი მომავლისათვის!"

ამ ტრადიციებს საფუძველი ჩაუყარა დიდმა სტალინმა. აგვისტოს გაფიცვა პირველი სახელოვანი ნაბიჯი იყო კავკასიის პროლეტარიატისა თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

გაფიცვა 1(14) აგვისტოს დაიწყო და 15 დღეს გასტანა. იგი მზადდებოდა ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. გაფიცვის მიზეზი იყო მუშათა მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა. უუფლებობამ და შრომის ჯოჯოხეთურმა პირობებმა აიძულა მუშები საბრძოლველად გამოსულიყვნენ. სამუშაო დღის შემცირება, ღამის მუშაობის აღკვეთა და მის ნაცვლად ღამის ჯერის შემოღება, ხელფასის გადიდება, მუშებისადმი ადამიანური მოპყრობა, უსაფუძვლო ჯარიმების გაუქმება, ჰიგიენური პირობების მოგვარება და სხვა—აი რას მოითხოვდნენ ისინი.

საზოგადოდ წელიწადში ორჯერ—იანვარსა და ივლისში სახელოსნოებსა და დეპოში ხდებოდა ხელფასის გადასინჯვა, მაგრამ ეს ვრცელდებოდა მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ „რჩეულ პირებზე". ი. ბ. სტალინის მიერ გათვითცნობიერებული მუშები 1900 წლის ივლისის ხელფასის მომატებას მომზადებული ხვდებოდნენ. სისტემატურად ტარდებოდა მუშათა მასობრივი კრებები. ივნისის დამლევიდან აგიტაცია და პროპაგანდა სწარმოებდა არა მარტო მუშათა ფართო ფენებში, არამედ მუშათა ოჯახის წევრებს შორისაც. თბილისის ორგანიზაციის წევრები მ. ი. კალინინი, ს. ალილუევი, მ. ბოჭორიძე, ნ. ვიგორნინი, ვ. სტურუა, ზ. ჩოდრიშვილი და სხვები ი. ბ. სტალინის დავალებით მთავარ სახელოსნოებისა და დეპოს ცალკეულ საამქროებში ეწეოდნენ ამ მუშაობას. ივნისის ბოლოს სხვადასხვა საამქროების მუშებმა ადმინისტრაციას მოთხოვნა წარუდგინეს — ხელფასის მომატება გავრცელებულიყო მუშების დიდ ნაწილზე და აგრეთვე მუშათა დაწინაურება საამქროს მუშათა უმრავლესობასთან შეთანხმებით მომხდარიყო. მოთხოვნილებაში აღნიშნული იყო ბრიგადირების თავგასულობა. მუშები გადაჭრით მოითხოვდნენ ბრიგადირებისათვის საამქროს შინა საკითხებში ჩარევის აკრძალვას. ადმინისტრაციამ სასტიკად გადაჭრა აღნიშნული მოთხოვნების წინააღმდეგ.

11 ივლისიდან სახარატო საამქროს მუშებმა უარი განაცხადეს ღამე მუშაობაზე და მოითხოვდნენ თავგასულ ბრიგადირების ფუნტისა და ბლიუმბერგის დათხოვნას. ხარატებს სხვა საამქროები შეუერთდნენ. დაიწყო თანხების შეგროვება სპეციალური ფონდისათვის. ამ ამბებით შეშინებულმა ადმინისტრაციამ შემდეგი განცხადება გამოაკრა დეპოსა და სახელოსნოს მუშების საყურადღებოდ: „ივლისის განმავლობაში მთავარ სახელოსნოების მუშებმა არა ერთხელ დაუშვეს სამუშაო წესების დარღვევა: 1) ჯგუფურად იკრიბებოდნენ სახელოსნოს შენობაში, 2) ჯგუფურად აყენებდნენ სხვადასხვა მოთხოვნებს... კანონის ამგვარი დარღვევისათვის მუშები სასტიკად დაისჯებიან".

27 და 29 ივლისს მოსალოდნელი გაფიცვის თავიდან აცილების მიზნით თბილისის გუბერნატორმა სპეციალური თათბირი მოიწვია ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის, თბილისის პოლიცმეისტრის, სასამართლო პალატის პროკურორის და სხვათა მონაწილეობით. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი სპეციალურად გაემგზავრა კოჯორში მყოფ კავკასიის მთავარმართებელთან გაფიცვის წინააღმდეგ მისაღები ზომების შესათანხმებლად.

30 ივლისს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ცენტრალური ჯგუფის კრებაზე ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით გადაწყდა 1 აგვისტოდან გაფიცვის გამოცხადება. იქვე გაფორმდა მუშათა მოთხოვნები, რაც მათ უნდა წარედგინათ ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსისათვის. 31 ივლისს მუშებმა მოთხოვნები წარუდგინეს გზის უფროსს, ხოლო იმავე საღამოს ჟანდარმერიამ დააპატიმრა ს. ალილუევი, ნ. ვიგორნინი, სამჭკუაშვილი, თუშმალიშვილი და სხვები, სულ 63 მოწინავე მუშა. მეორე დღეს სამუშაოზე მოსულმა მუშებმა, ამხანაგების დაპატიმრება რომ გაიგეს, მუშაობა შესწყვიტეს და ქალაქ გარეთ—დიდუბესა და ნაძალადევში გაემართნენ. გაფიცულებთან იყვნენ ი. ბ. სტალინი და მისი თანამებრძოლები. მიტინგებზე თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკები გაფიცულებს მოუწოდებდნენ ებრძოლნათ საბოლოო გამარჯვებისათვის. „31 ივლისს შუაღამისას დაგვესხნენ თავს და პირდაპირ ლოგინიდან მოგვტაცეს — ამხანაგები. ეს ამბავი ელექტრონივით ედება სახელოსნოში ყველა ჩვენს ამხანაგებს... და ბრძოლა აუცილებელი ხდება".—ასე მიმართავდა სტალინური პროკლამაცია გაფიცულ მუშებს.

2 აგვისტოს გზის უფროსმა ბრძანება გასცა, 4 აგვისტომდე მთავარ სახელოსნოებში მუშაობა შეწყვეტილია, ხოლო ვინც 4 აგვისტოს სამუშაოზე არ გამოცხადდება მოხსნილად ჩაითვლება და საბოლოო ანგარიშის მიღება შეუძლია ლაზარეთის შენობაში (დღევანდელი რკინიგზის საავადმყოფოში).

ამავე დღეს თბილისის ორგანიზაციის მიერ მოწვეულ კრებაზე გაფიცულებმა მიიღეს ახალი დამატებითი მოთხოვნები ადმინისტრაციისადმი—ჯარიმების გაუქმების, ხელფასის მომატების, ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისა და დაპატიმრებულთა განთავისუფლების შესახებ. გაფიცულებს დაურიგეს პროკლამაციები ქართულ და რუსულ ენაზე. გაზეთი „ბრძოლა" სწერდა:

„მთავრობა კიდევ უფრო გაცოფდა, როდესაც მუშათა ხელმძღვანელმა კომიტეტმა პროკლამაციები პროკლამაციებზე გამოუშვა. ეს კი სრულიად ახალი ხილი იყო მისთვის და ამიტომაც ძნელად მოსანელებელი".

მთავრობამ „სახელმწიფო უშიშროების დაცვის" ზომებს მიმართა, დაიწყო მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრებანი. 4 აგვისტოს სამუშაოზე არც ერთი მუშა არ გამოცხადდა. მუშათა უბნები, მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მიდამოები მთავრობამ სამხედრო ბანაკად გადააქცია და გაფიცულთა ოჯახებს აწიოკებდა. „გაფიცული მუშების წინააღმდეგ მთავრობამ გამოიყვანა ქვეითი და ცხენოსანი ჯარი, რომლებიც აფთრებივით მიესივნენ მუშებს" („ბრძოლა" № 2-3). სტალინური პროკლამაცია გაფიცულებს მოუწოდებდა: „შევფიცოთ ერთმანეთს, რომ მტკიცედ ვიდგეთ სადარაჯოზე, ვიდრე ყველა ჩვენს მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ". თბილისის ორგანიზაციამ მემანქანეებსა და მათს თანაშემწეებს პროკლამაციით მიმართა—მხარი დაეჭირათ გაფიცვისათვის. 5-6 აგვისტოს მცხეთის მიდამოებში ი. ბ. სტალინის მიერ გაგზავნილი ამხანაგების მონაწილეობით მემანქანეთა კრებამ დაადგინა გაფიცულიყვნენ. „მაშინისტებმა, ამ დაუფასებელმა მოკავშირეებმა, უკვე დაიწყეს ჩვენთან შემოერთება",—მიმართავდა ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაცია მუშებს.

6-7 აგვისტოს თბილისის სადგურიდან რამდენიმე მატარებელი განრიგებისამებრ ვერ გავიდა. 6 აგვისტოს ქალაქში საალყო წესები გამოცხადდა. 7 აგვისტოს კავკასიის პირველი მსროლელი ბატალიონის ორი ასეულის დახმარებით დააპატიმრეს სამასზე მეტი მუშა. 233 კაცი საგუბერნიო ციხეში მოათავსეს თავიანთ სოფლებში გადასასახლებლად. მეფის მთავრობის მიერ გაფიცულებისადმი თავხედობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 2 ათასი მუშა ერთსულოვნად დარაზმული მივიდა მეთე საპოლიციო უბანში. ისინი მოითხოვდნენ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას. ეს იყო თბილისის მუშების პირველი დემონსტრაცია. შეშფოთებულმა მთავრობამ მათ მიმართა დაშლილიყვნენ. მუშები ადგილიდან არ იძროდნენ. ბოქაულმა დემონსტრანტებს გამოუცხადა: „ვისაც გაფიცვის შეწყვეტა სურს, მარჯვნივ დადგეს, ვისაც დაპატიმრება—მარცხნივო". ყველა დემონსტრანტი მარცხენა მხარეზე გადავიდა. დემონსტრანტების გულადობას თანაგრძნობით ეხმაურებოდა ქალაქის მოსახლეობა.

მუშების დემონსტრაციის მეორე დღეს, 8 აგვისტოს, თბილისის ორგანიზაციის მოწოდებით გაფიცულთა ცოლები, დედები და ქალიშვილები—ორასამდე ქალი დემონსტრაციით გამოვიდა ქალაქში. მიხაილოვისა და გოლოვინის პროსპექტების გავლით ისინი გუბერნატორის სამმართველოსთან მივიდნენ (ვაკზალისა და გრიბოედოვის ქუჩის კუთხეში).

მუშათა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. გაფიცვა მუშათა დემონსტრაციებსა და მთავრობის აშკარა საწინააღმდეგო გამოსვლებში გადაიზარდა. ამიტომაც ყოველდღიურად გრძელდებოდა მუშათა დაპატიმრება. კავკასიას არ ენახა მანამდე ასეთი მასობრივი დაპატიმრება. ციხეებში ტევა აღარ იყო. თვით მთავრობის ოფიციალური ორგანო გაზეთი „კავკაზიც" კი (1900 წლის 11 აგვისტო № 211) იძულებული იყო აღენიშნა, რომ თბილისის ციხეები მუშათა გაფიცვის გამო მეტად გადატვირთულიაო. ციხეებში ადგილი რომ არ იყო, ნავთლუღის სამხედრო სატუსაღოს ვაგონებში მოათავსეს დაპატიმრებული მუშები.

12 და 13 აგვისტოს მთავრობამ თავიანთ სოფლებში ეტაპით გაგზავნა რამდენიმე პარტია გაფიცული მუშებისა. თბილისსა და ნავთლუღის სადგურებზე ისინი გააცილეს თბილისის სხვადასხვა ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებმა, რევოლუციურად განწყობილმა ახალგაზრდობამ.

15 აგვისტოს გაფიცვა თითქმის დამთავრდა. ეს იყო უდიდესი პოლიტიკური გაკვეთილი თბილისის მუშებისათვის.

• • •

მუშათა ორგანიზებული გამოსვლები მთავრობისა და რკინიგზის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ნათლად მეტყველებდა, რომ თბილისის მუშები პოლიტიკურად გათვითცნობიერებულნი, აშკარად შეეჯახნენ ექსპლოატატორებს. მეფის მთავრობა თვითონვე გრძნობდა, რომ მუშებს ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. მაგალითად, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტისადმი ნათქვამია, რომ მუშათა მიერ წარდგენილი მოთხოვნები „ატარებდა სრულიად განსაკუთრებულ ხასიათს როგორც ფორმით, ისე შინაარსით. ირკვევა, რომ მისი ავტორი უთუოდ სოციალ-დემოკრატიულად მოაზროვნე პიროვნებაა". ამასვე ადასტურებს ჟანდარმერიის მეორე დოკუმენტი: „შეიძლება შეუცდომლად დავუშვათ, რომ გაფიცვა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში ჩატარდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით". — რადგან,—ნათქვამია იქვე,—„სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გამოჩენამდე თბილისში გაფიცვები სრულებით არ იყო, და თუ იყო, იშვიათად, ისიც ცალკეული მოვლენა". აგვისტოს გაფიცვამ უდიდესი გამრევოლუციონერებელი გავლენა იქონია საქართველოსა და კავკასიის მშრომელებზე. საპატიმროებშიც კი არ ცხრებოდა პოლიტიკური აგიტაცია. თბილისის ჟანდარმთა სამმართველო გაბრაზებული სწერს პოლიციის დეპარტამენტს: „დაპატიმრებულთა თავხედობა იქამდე მივიდა, რომ თვით ციხეშიც დაიწყეს ლექსების შეთხზვა. დაპატიმრებული ინტელიგენტები მუშებში პროპაგანდას ეწეოდნენ". კიდევ უფრო გაცოფდა ჟანდარმერია, როდესაც აგვისტოს გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო.

სტალინური გაზეთი „ბრძოლა" სწერს, მთავარი სახელოსნოს და დეპოს მუშათა „გმირულმა ბრძოლამ მომხიბვლელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელი თბილისის მუშებზე და გაფიცვა გადამდებ სენივით მოედვა მრავალ ქარხნებსო". მაგალითად, მთავარი სახელოსნოების მუშებზე გავლენით გაფიცვა იარალოვის მექანიკური ქარხნის 200 მუშა. ამ გაფიცვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქარხნის ახალგაზრდა მუშები. 10 აგვისტოს გაიფიცნენ ადელხანოვის ტყავეულობის ქარხნისა და ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშები. გაფიცვები დაიწყო საფაროვის, ენფიაჯიანცისა და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკებში და ფაბრიკა „მირში".

პეტერბურგიდან პოლიციის დეპარტამენტის საყვედურზე, რომ კავკასიაში ასეთი უჩვეუ-

(დასასრული მე-4 გვერდზე).

იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს სხდომა

მარშალ ტიტოს მოხსენება

ბელგრადი, 11 აგვისტო. (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს (ავნოიუს) 8 აგვისტოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მარშალ ტიტოს მოხსენება.

ტიტომ აღნიშნა, რომ ავნოიუს მეორე და მესამე სხდომებს შორის განვლილ პერიოდში მოხდა ფრიად მნიშვნელოვანი არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური ამბებიც. ტიტომ მოკლედ დახასიათა რთული სამხედრო ვითარება, რომელშიც მიმდინარეობდა ავნოიუს მეორე სხდომა, და ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რაც ამ სხდომაზე შექმნილმა იუგოსლავიის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტმა შეასრულა.

ტიტომ გაიხსენა ჩერჩილთან შეხვედრა იტალიაში და სთქვა, რომ „ეს შეხვედრა დაკავშირებული იყო ერთიანი მთავრობის შექმნის დაჩქარებასთან და ამასთან განხილული იყო ზოგიერთი საკითხი, რომლებიც ოპერაციების კოორდინაციის შეეხებოდა. იმ დროსვე გადაიჭრა საკითხი იუგოსლავიისათვის სამხედრო ფლოტის გადაცემის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ ადამიანთა მიზეზით, რომლებიც კარგად არ არიან ჩვენს მიმართ განწყობილნი, ამ შეთანხმების რეალიზაცია მხოლოდ ამ დღეებში გახდა შესაძლებელი. ახლა ეს საკითხი საბოლოოდ მოხსნილია დღის წესრიგიდან, ვინაიდან ჩვენმა წარმომადგენელმა იტალიაში მოახერხა შესთანხმებოდა მოკავშირეთა ხელისუფლებს იმაზე, რომ იუგოსლავიის ფლოტი დაუყოვნებლივ შემოვიდეს ჩვენს ნავსადგურებში“.

შემდეგ ტიტომ დაწვრილებით გააცნო დეპუტატებს თავისი მგზავრობა მოსკოვს 1944 წლის სექტემბერში. მან სთქვა, რომ მისი თხოვნით მიღწეულ იქნა შეთანხმება აღმოსავლეთ სერბიის ტერიტორიაზე წითელი არმიის დიდი ნაწილების გადმოსვლის შესახებ, რათა იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად გაეთავისუფლებინათ სერბია და ბელგრადი. „გარდა ამისა,—განაცხადა ტიტომ,—საბჭოთა კავშირმა ჩვენ მოგვაწოდა დიდძალი სხვადასხვაგვარი თანამედროვე საჭურველი, დაწყებული შაშხანებით და გათავებული ტანკებითა და ავიაციით. ამრიგად, ჩვენ შევძელით შეგვეიარაღებინა ბევრი ჩვენი დივიზია და შესაძლებლობა მოგვეცა მათთვის შეგვესრულებინათ მათს წინაშე მდგარი მძიმე ამოცანა. სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით მალე განთავისუფლებულ იქნა ბელგრადი და სერბია, ხოლო ბულგარეთის არმიის დახმარებით განთავისუფლებულ იქნა მაკედონია. გარდა ამისა, საბჭოთა სამდინარო ფლოტილიას ბელგრადში მოჰქონდა სათბობი და სურსათი“. ტიტომ აღნიშნა აგრეთვე ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ღონისძიებანი იუგოსლავიის ჯარების მოსამარაგებლად, განსაკუთრებით დალმაციაში, სლოვენიასა და ბოსნიაში. „ჩვენ,—განაცხადა ტიტომ,—მადლიერი ვართ დიდი მოკავშირეებისა მათი დახმარებისათვის ბრძოლაში. ეს იყო გამართლებული დახმარება, ვინაიდან დიდი მოკავშირე ქვეყნების პასუხისმგებელი ხელმძღვანელები დარწმუნდნენ, რომ იუგოსლავიაში მხოლოდ სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა არის ოკუპანტებისადმი უკომპრომისო წინააღმდეგობის გამწევი მოძრაობა, ხოლო ყოველივე დანარჩენი იყო სიცრუე, რომლის საშუალებითაც დრაჟე მიხაილოვიჩი და უცხოეთში მყოფი მისი თანამოაზრენი ატყუებდნენ მსოფლიოს“.

შემდეგ ტიტომ აღნიშნა, რომ ბელგრადის განთავისუფლების შემდეგ 350-ათასიანი იუგოსლავიელთა არმია ერთიორად გაიზარდა. შექმნილი ძლიერი არტილერია, ავიაცია, სატანკო ნაწილები. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა მიმდინარე წლის გაზაფხულზე საერთო შეტევაზე გადავსულიყავით მთელ ფრონტზე სრემიდან დალმაციამდე და ოკუპანტებისაგან გაგვეწმინდა მთელი ჩვენი ქვეყანა. ამ უკანასკნელ შეტევაში მთლიანად განადგურებულ იქნენ არა მარტო გერმანელთა ყველა ჯარი, არამედ პაველიჩის ჯარებიც, რომლებშიც 200 ათასზე მეტი ჯარისკაცი ითვლებოდა. იუგოსლავიის არმიას ხელში ჩაუვარდა 200 ათასზე მეტი ტყვე და უდიდესი დავლა.

შემდეგ ტიტომ გააცნო დეპუტატებს ერთიანი მთავრობის ჩამოყალიბების ისტორია და სთქვა: „ოკუპანტებმა და ხალხის გამცემლებმა ღრმა კვალი დასტოვეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში: ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ დარგებში. მთავრობა უდიდეს ღონისძიებებს ხმარობდა და ხმარობს იმისათვის, რათა აღმოფხვრას ყველა ნაკლი და რაც შეიძლება მალე უზრუნველჰყოს სახელმწიფო აპარატისა და მთელი სახალხო მეურნეობის ნორმალური მუშაობა. ბევრმა ავისმდომელმა ვერ გაიგო და დღემდე არ სურს ან არ შეუძლია გაიგოს მთელი სიძნელეები, რომლებთანაც მთავრობა იძულებულია იბრძოლოს. ისინი ამ სიძნელეებს თავიანთი რეაქციული მიზნებისათვის იყენებენ სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ხელისუფალთა წინააღმდეგ“.

ტიტო შეეხო რეპარაციების საკითხს და აღნიშნა, რომ იმ ზარალის საერთო ღირებულება, რაც ჩვენს ქვეყანას ომის შედეგად მოუვიდა, 61 მილიარდ დოლარს აღწევს და რომ ჩვენი ქვეყნის გაპარტახების მთავარი დამნაშავეები არიან გერმანია და იტალია, რომლებსაც ჯერ არაფერი არ გაუკეთებიათ მოყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. უნგრეთმა უკვე დაიწყო თავისი წილის დაფარვა რეპარაციების 70 მილიონი დოლარის საერთო თანხიდან, რაც იუგოსლავიას ერგება. რამდენადაც მოყენებული ზარალისათვის დანაშაულობის მეტი წილი იტალიაზე მოდის,—სთქვა ტიტომ, — „განსაკუთრებით გვაოცებს იმ რეაქციულ ელემენტთა თავხედობა, რომლებიც ახლა დამნაშავეთაგან იქცევიან ჩვენი ხალხების ბრალმდებლებად და ცილისმწამებლებად, ჩვენი ხალხებისა, რომლებსაც მათგან ესოდენი ტანჯვა და მწუხარება მიადგათ. ჩვენ გვესმის, რომ ვერასოდეს ვეღარ დავუბრუნებთ სიცოცხლეს ათიათასობით ჩვენს ქალს, ბავშვსა და მამაკაცს, რომლებიც მოკლული და დახვრეტილი არიან სლოვენიაში, დალმაციაში, ჩერნოგორიაში, ჰერცეგოვინაში, ლიკში და სხვაგან. მაგრამ გადამწვარი სოფლები და განადგურებული ქალაქები, ყველაფერი, რაც გაძარცულია ამ ოლქებში, ყოველივე ეს ანაზღაურებულ უნდა იქნას ამ რეაქციონერთა ხარჯზე, და ამისათვის იტალიელმა ხალხმა უნდა იზრუნოს“.

„ჩვენი ქვეყნისათვის გერმანიის მხრივ რეპარაციების გადახდის საკითხი, — განაგრძო ტიტომ, — გადაუდებელი საქმეა. როდესაც ამ საკითხს რეალურად ვიხილავთ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყანა შეიძლება კომპენსირებულ იქნას მოყენებული ზარალისათვის მხოლოდ ნატურით და უმთავრესად გერმანიის მთლიანი აწარმოების მიღების გზით, რომლებიც აუცილებელია იუგოსლავიის აღდგენისათვის. ასეთ მოთხოვნას ჩვენი დელეგაცია წამოაყენებს მოკავშირეთა წინაშე“.

შემდეგ ტიტო გადავიდა იუგოსლავიის საგარეო პოლიტიკის საკითხზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ როგორც ნაციონალური კომიტეტი, ისე მთავრობა „ცდილობდნენ და ცდილობენ, რათა ჩვენი ურთიერთობა მოკავშირეებთან რაც შეიძლება კარგი იყოს. უფრო მეტიც, ყოველივე იმ უარყოფითი მხარეების აღმოფხვრისათვის, რაც ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში იყო წარსულში, ნაციონალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტეს შეროგების ხელი გაუწოდონ იმ ქვეყნებს, რომლებიც პროფაშისტური მმართველი წრეების მიერ ჩათრეული იყვნენ ომში ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ“.

ტიტომ ილაპარაკა ალბანეთთან ურთიერთობაზე და აღნიშნა, რომ „თავისუფლებისათვის ერთობლივმა ბრძოლამ დააკავშირა ორივე ქვეყანა. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა განსაკუთრებით გულითადია და, ამაოა მტრების ცდა გააფუჭონ იგი“.

„იუგოსლავიის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი აქტი,—განაგრძო ტიტომ,—იყო მოსკოვში 1945 წლის 11 აპრილს ხელმოწერა ხელშეკრულებისა საბჭოთა კავშირთან მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ. ამ დიდ ისტორიულ აქტს აღფრთოვანებით შეხვდნენ მთელი ჩვენი ხალხები. ამ აქტით განხორციელდა ის, რისკენაც საუკუნეთა განმავლობაში მიისწრაფოდნენ ჩვენი ხალხები. მაგრამ იუგოსლავიის წარმოშობიდან მხოლოდ 26 წლის შემდეგ, მხოლოდ ამ დიდი კატასტროფის შემდეგ, რომელიც ჩვენს ქვეყანას დაატყდა 1941 წელს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც იუგოსლავიის ხალხებმა თავიანთი განმათავისუფლებელი ბრძოლის მეოხებით თავიანთი ბედი საკუთარ ხელში აიღეს და მოიშორეს ყველანი, ვინც ხელს უშლის საბჭოთა ხალხთან დაახლოებას,—მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ საბოლოოდ განხორციელდა ჩვენი ხალხების საუკუნეობრივი მისწრაფებანი და დამყარდა ურღვევი კავშირი საბჭოთა კავშირთან, რაც უშიშროების გარანტია იქნება და დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყანას“.

შემდეგ ტიტომ ილაპარაკა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიასთან ურთიერთობაზე და აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობა მტკიცდება და ვითარდება, რაც იუგოსლაველ ხალხების დიდ კმაყოფილებას იწვევს.

„რაც შეეხება ჩვენს დიდ მოკავშირეებს — ამერიკასა და დიდ ბრიტანეთს, ჩვენს ქვეყანას მათთან აგრეთვე ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ გამოვხატავ ყოველი თქვენგანის აზრს, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ გვსურს და ვეცდებით, რათა ჩვენი ურთიერთობა ამ ორ დიდ ქვეყანასთან ისეთივე მტკიცე იყოს მშვიდობიანობის დროს, როგორიც ომის დროს იყო. უფრო მეტიც, ჩვენ გვსურს, რომ ეს ურთიერთობა უფრო გულითადი იყოს. არის ცდები დამარცხებული ქვეყნების ზოგიერთი რეაქციული ელემენტის მხრივ ცილისწამების საშუალებით გამოიწვიოს ჩვენს მოკავშირეებში არაკეთილსაყრელი დამოკიდებულება იუგოსლავიისადმი. იუგოსლავიის ხალხების ტანჯვა და მსხვერპლი, მათ მიერ მოკავშირეთა საერთო საქმეში შეტანილი წვლილი იმდენად დიდია, რომ ჩვენ საფუძველი გვაქვს ღრმად გვწამდეს, რომ ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს სამშვიდობო კონფერენციაზე სადავოს არ გახდიან“.

განთავისუფლებულ საფრანგეთთან, განაგრძო ტიტომ, ჩვენი ქვეყანა ამჟამად ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს. მეზობელ რუმინეთსა და უნგრეთთან, რომლებსაც ამჟამად სათავეში უდგანან დემოკრატიული მთავრობები, იუგოსლავიამ კარგი ურთიერთობა დაამყარა, რაც სულ უფრო და უფრო განმტკიცდება.

„ჩვენი ქვეყანა, — სთქვა დასასრულ ტიტომ, —ამ ომიდან გამოვიდა თუმცა დანგრეული და მატერიალურად გაღარიბებული, მაგრამ ამავე დროს სულიერად გარდაქმნილი, დიადი შემოქმედებითი ღონისძიებებისათვის მზადმყოფი. ომიდან გამოვიდა გაერთიანებული ახალი დემოკრატიული ფედერატიული იუგოსლავია, რომელმაც ძმობაში ჰპოვა მშვიდობა. და ჩვენი ხალხების განუზომელი მსხვერპლისა და ტანჯვისათვის ამ ომში საზღაურად მივიღეთ ჩვენი ხალხების მიერ მიღწეული უდიდესი მონაპოვარნი: ჩაფუშულია ოკუპანტებისა და გამცემლების ჯოჯოხეთური გეგმა ხელი შეეშალათ ძლიერი იუგოსლავიის შექმნისათვის, შექმნილია იუგოსლავიის ხალხთა ურღვევი ძმობა და ერთობა, შექმნილია სახალხო ხელისუფლება, რომელიც წარმოადგენს სამართლიანი სოციალური წყობილებისა და დემოკრატიის გარანტიას. შექმნილია ძლიერი სახელმწიფო, იუგოსლავიის თანასწორუფლებიან ხალხთა გაერთიანება“.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა

პარიზი, 12 აგვისტო. (საკდესი). გუშინ პარიზში გაიხსნა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ნაციონალური ყრილობა, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდება. ყრილობაზე ძირითადი იქნება საკითხი სოციალისტური პარტიის, ერთი მხრივ, „უდორისადმი“ („წინააღმდეგობის დემოკრატიული სოციალისტური კავშირი“) და, მეორე მხრივ, კომპარტიისადმი დამოკიდებულების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებას გააკეთებს სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი დანიელ მეიერი. ვენსან ორიოლი მოხსენებას გააკეთებს ახალი კონსტიტუციის შესახებ. ბლუმი, აგრეთვე დეპრე მოხსენებებს გააკეთებენ პარტიის ახალი წესდების შესახებ. ყრილობის პირველი სხდომა საკმაოდ გაცხარებული ხასიათისა იყო. დანიელ მეიერისა და საოლქო სოციალისტური ფედერაციების ზოგიერთი ხელმძღვანელის სიტყვები შეიცავდნენ კომპარტიის წინააღმდეგ გალაშქრებას. ამან იმდენად ძლიერი პროტესტები გამოიწვია, რომ ორატორებმა ვეღარ განაგრძეს ლაპარაკი რამდენიმე წუთის განმავლობაში.

მდგომარეობა საბერძნეთში

ათენი, 11 აგვისტო. (საკდესი). გუშინ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ბოიკოტს უწევს იმ „არჩევნებს“, რომლის ინსცენირებასაც ამზადებს ვულგარისის მთავრობა, და საარჩევნო სიების შემმოწმებელი კომიტეტებიდან გამოჰყავს კომუნისტები. მოელიან, რომ ლიბერალური პარტია გამოაქვეყნებს ანალოგიურ გადაწყვეტილებას. ამავე დროს რეგენტის, უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენელთა და პრესის სახელზე მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისა და ორგანიზაციებისაგან, მათ შორის მრავალი სამინისტროს მოსამსახურეთაგან მოდის პროტესტები მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ. ის პირნი, რომლებმაც ხელი მოაწერეს საპროტესტო განცხადებას, მოითხოვენ პოლიტიკურ თავისუფლებათა აღდგენას, ტერორის შეწყვეტას, იმ ეკონომიური პოლიტიკის უარყოფას, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ ოკუპაციის წლებში გამდიდრებული სპეკულანტებისათვის, იალტის გადაწყვეტილებათა განხორციელებას საბერძნეთში წარმომადგენლობითი მთავრობის შექმნის გზით.

გუშინ ათენში ვულგარისის მთავრობის ეკონომიურ ღონისძიებათა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გაფიცული იყო ყველა ბაყალი. პატრიში საბაკალეო მაღაზიები დახურული იყო აგრეთვე 24 საათით, სალონიკში გაფიცული არიან პურის მცხობელი მუშები.

ლონდონი, 11 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტო ათენიდან გადმოგვცემს, რომ დღეს საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ადმირალმა ვულგარისმა ცვლილება მოახდინა თავისი კაბინეტის შემადგენლობაში. შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, საზღვაო ფლოტისა და ავიაციის მინისტრების პოსტები მან დაიკავა.

რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ ადმირალ ვულგარისის რეკონსტრუირებული „სასამსახურო“ მთავრობის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია პრემიერ-მინისტრის პირადი ხელისუფლების გაძლიერება. ცდილობს რა გადასწყვიტოს საბერძნეთის პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი პრობლემები ადმირალმა ვულგარისმა თავის ხელში აიღო ძირითადი სამინისტრო პოსტები.

ათენი, 12 აგვისტო. (საკდესი). 9 აგვისტოს პრესაში გამოქვეყნდა შინაარსი ეტლის იმ დეპეშისა საბერძნეთის რეგენტ დამასკინოსისადმი, რომელიც აქ მიღებული იყო ჯერ კიდევ 3 აგვისტოს. ამ დეპეშაში ეტლი იმედს გამოსთქვამდა, რომ ვარკიზში დადებული შეთანხმება მთლიანად იქნება განხორციელებული, აგრეთვე გამოხატავდა შეშფოთებას მემარჯვენეთა ექსცესების გამო. ეტლიმ აღნიშნა აუცილებლობა აღდგენილ იქნას კანონი და წესრიგი საბერძნეთში, რათა ბერძენმა ხალხმა რაც შეიძლება მალე შესძლოს თავისი ნება-სურვილის გამოთქმა.

გაზეთი „ელეფთერია“ კომენტარს უკეთებს ეტლის წერილს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დეპეშა მიღებული იყო მთავრობის კრიზისამდე და რომ პრემიერ-მინისტრმა ვულგარისმა დაუმალა იგი ხალხს, ხოლო როდესაც მისი შინაარსი ცნობილი გახდა სხვა წყაროებიდან, მითითება მისცა მემარჯვენე პრესას დეპეშა გაემარტებინათ როგორც მისი პოლიტიკის მოწონება. ნამდვილად კი, აცხადებს გაზეთი, დეპეშის შინაარსი ასეთია, რომ ყოველი სხვა პრემიერ-მინისტრი მისი მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ გადადგებოდა, ვინაიდან დეპეშა არსებითად შეიცავდა საბერძნეთის ახლანდელი მთავრობის მკაცრ კრიტიკას. გაზეთი აღნიშნავს, რომ მთავრობამ არავითარი ზომა არ მიიღო მონარქისტთა ბანდების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ ვარკიზში დადებულ შეთანხმებას. მართალია, სწერს „ელეფთერია“, ვულგარისმა გამოსცა დრაკონული კანონი წესრიგის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას იარაღის ჩაუბარებლობისათვის, მაგრამ იარაღის ჩაბარების ვადა გავიდა, შეიარაღებულ მკვლელთა რაოდენობა კი მხოლოდ გაიზარდა.

მემარჯვენე რესპუბლიკელთა გაზეთი „ვიმა“ სწერს, რომ რეგენტმა მოახერხა თავის პასუხში გვერდი აევლო ეტლის დეპეშის ნამდვილი აზრისათვის და რომ დამასკინოსმა „ვერ მონახა სიმართლის ვერც ერთი სიტყვა, რათა ნამდვილი მდგომარეობა ეღიარებინა. ეს პასუხი,—აცხადებს გაზეთი, — აგრეთვე რეგენტის გადაწყვეტილება შეინარჩუნოს ვულგარისის „სამსახურებრივი“ მთავრობა, სავსებით გამოხატავს უკიდურეს მემარჯვენეთა აზრს. ასეთი მთავრობის არსებობა უზრუნველჰყოფს უკიდურესი მემარჯვენე ბანაკის სრულ დაუსჯელობას მის მიერ წარმოებულ ტერორში, საშუალებას აძლევს მას გადააქციოს საბერძნეთი ვერაგული მონარქისტული შეთქმულობის ასპარეზად მონარქიის აღდგენის მიზნით. რეგენტმა,—სწერს გაზეთი,—არა სთქვა სიმართლე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ უკიდურესი მემარჯვენეები არიან იმის დამნაშავენი, რომ პოლიტიკური კრიზისი არ გადასწყდა საბერძნეთის შესაფერისი მეთოდით“. დასასრულ გაზეთი სწერს, რომ ეტლის დეპეშის მიღებით რეგენტის გადაწყვეტილება — შეინარჩუნოს სამსახურებრივი მთავრობა „ნაციონალურ უბედურებას“ წარმოადგენს.

მონარქისტული გაზეთები ცდილობენ ეტლის დეპეშაში იპოვნონ „ინგლისის პოლიტიკის აბსოლუტური უცვლელობის“ დადასტურება და თავიანთი პოზიციის მოწონება.

ათენი, 13 აგვისტო. (საკდესი). გუშინ პრემიერ-მინისტრმა ვულგარისმა წარმოსთქვა პროგრამული სიტყვა, რომელიც გადაცემული იქნა რადიოთი. ამ პროგრამის პირველი პუნქტი სთვლის „მთავრობის უმაღლეს ნაციონალურ მოვალეობად იმ პირთა დასჯას, რომელთაც ბრალი მიუძღვით დეკემბრის აჯანყების საშინელ დანაშაულობებში“. ეს ამოცანა, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, მეტწილად განახორციელა წინანდელმა მთავრობამ ჩემი ხელმძღვანელობით, ხოლო დაამთავრებს ახალი მთავრობა. გამცემთა ოკუპანტების თანამშრომელთა დასჯის, არმიისა და სახელმწიფო აპარატის ფაშისტებისაგან წმენდის შესახებ პრემიერ-მინისტრს ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ვულგარისმა აღიარა, რომ ვითომ „დეკემბრის დანაშაულობათა“ მონაწილეების დასჯით ხორციელდებოდა პირადი შურისძიება და, რომ „პირობები საპყრობილეებში საშინელია“, მაგრამ იქვე განაცხადა, რომ „დანაშაულობათა პატიება არ შეიძლება“. დასასრულ ვულგარისმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა, თუ ამას საბერძნეთის ინტერესები მოითხოვენ, დაუყოვნებლივ დაუთმობს თავის ადგილს სხვა მთავრობას.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობი საამქროს უფროსი ბ. მელქაძე, მისი ცოლი ვენერა, ვაჟი ტრისტანი და ქალიშვილი ნანული საქარხნო პარკში მიდიან. ფოტო პ. ლუცენკოსი.

ხელოვნების ქრონიკა

სეზონის გახსნის წინ

მოსამზადებელ მუშაობას შეუდგა ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის თეატრი.

სეზონის გახსნისათვის თეატრი ამზადებს კაპიტალურად აღდგენილ დადგმას — ს. შანშიაშვილის პიესა „არსენა“ (დამდგმელი ა. ვასაძე, მხატვარი ი. გამრეკელი).

ამჟამად თეატრი ინტენსიურად მუშაობს სოლოვიოვის ისტორიულ დრამა „დიდ ხელმწიფეზე“. სპექტაკლს სდგამს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, მხატვრულად აფორმებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ვირსალაძე, მუსიკა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. ტუსკიასი. ითანე მრისხანის როლს ასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა.

ამ პიესას თეატრი ამზადებს რუსული კლასიკის საკავშირო დათვალიერებისათვის. დათვალიერებაზე თეატრს განზრახული აქვს გარდა ამ დადგმისა აჩვენოს ა. ოსტროვსკის ორი პიესა „შემოსავლიანი ადგილი“ და „უდანაშაულოდ დამნაშავენი“.

„ხევისბერი გოჩა“

12 აგვისტოს, ზესტაფონის თეატრმა აჩვენა ს. შანშიაშვილის პიესა „ხევისბერი გოჩა“.

სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ს. ახალაძემ, მხატვრულად გააფორმა ს. ვაწაძემ, მუსიკა ეკუთვნის მ. ხუბუას, ქორეოგრაფი მ. სარქისოვი.

როლებში მონაწილეობდნენ ს. ახალაძე (გოჩა), მ. თალაკვაძე (ონისე), ი. აბაშიძე (გელა), ქ. გოგლიჩიძე (მათია), ა. არაბიძე (ძიძა), ნ. ცერცვაძე (ბაბუკა ჭორტნელიძე), ფ. არაბიძე (ხაზუა).

სპექტაკლმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

კონსულტაცია

14 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ცენტრალური სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთათვის შესდგება ინდივიდუალური კონსულტაცია. კონსულტაციას ჩაატარებენ: ქართულ ენაზე ამხ. **მირიანაშვილი** და რუსულ ენაზე ამხ. **ნოლიანისი.**

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე
მოსკოვის „დინამოს“ მეცამეტე გამარჯვება

12 აგვისტოს, მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერი მოსკოვის „დინამო“ შეხვდა მოსკოვის „ტორპედოს“.

პირველი ტაიმი ჩატარდა „დინამოელთა“ უპირატესობით. სოლოვიოვმა და ტროფიმოვმა მოწინააღმდეგის კარში თითო ბურთი გაიტანეს.

მეორე ტაიმში ორივე გუნდის კართან ხშირად იქმნებოდა კრიტიკული მომენტები, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. შეხვედრა დამთავრდა მოსკოვის „დინამოს“ მორიგი გამარჯვებით, ანგარიშით—2:0.

ამრიგად, სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „დინამო“ კვლავ განაგრძობს ლიდერობას. 15 ჩატარებული შეხვედრიდან მოიგო 13, ხოლო 2 ფრედ დაამთავრა (მოსკოვის „ტორპედოსთან“ და „სპარტაკთან“).

ა. გოგოლაშვილი

კინოებში

14 აგვისტოს: რუსთაველის სახელობის— „კინოკონცერტი“ და „სან-ფრანცისკოს კონფერენცია“. **ოქტომბერი** — „ტრაქტორისტები“. **დამკვრელი** (საზაფხულო და ზამთრის)— „ბერლინი“. **კომკავშირელი** (საზაფხულო და ზამთრის)—„ეს მოხდა დონბასში“. **ლუქსემბურგის სახელობის**—„ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 12 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, წყნარ ოკეანეში მოქმედი მოკავშირეთა სახმელეთო ძალების სარდლობის შტაბი იუწყება, რომ ამერიკის საარმიო ავიაციის შემადგენლობის თვითმფრინავებმა ჩასძირეს იაპონელთა 57 გემი, იმათ გარდა, რომლებზეც წინათ ვიუწყებოდით. ამერიკის დაახლოებით 500 ბომბდამშენი და ავიაგამანადგურებელი, რომლებსაც ბაზები კუნძულ ოკინავაზე აქვთ, თავს დაესხნენ ქალაქებს კუმამოტოსა და ოიტას კუნძულ კიუსიუზე (იაპონია). გარდა ამისა, ამერიკის თვითმფრინავებმა დაბომბეს იაპონიის ჰიდროთვითმფრინავთა ბაზა ჩრდილოეთ ჩინეთში და აეროდრომი შანხაის რაიონში. ამერიკის ბომბდამშენთა და ავიაგამანადგურებელთა შენაერთები თავს დაესხნენ იაპონელთა ობიექტებს კუნძულებზე ცელებესსა, ჰალმაჰერასა და ახალ გვინეაზე.

ვაშინგტონი, 12 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის შტაბი იუწყება, რომ 9 და 10 აგვისტოს განმავლობაში ამერიკისა და ინგლისის თვითმფრინავებმა, რომლებსაც ბაზები ავიანოსნებზე აქვთ, კუნძულ ჰონსიუს (იაპონია) ჩრდილოეთ ნაწილში მოსპეს ან დააზიანეს იაპონიის 711 თვითმფრინავი. ინგლისის თვითმფრინავებმა ჩასძირეს იაპონიის ორი საესკორტო საესკადრო ნაღმოსანი, 16 სატვირთო და 16 პატარა გემი.

ლონდონი, 13 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს წყნარ ოკეანეში მოქმედი მოკავშირეთა სახმელეთო ძალების სარდლობის შტაბის ცნობას იმის შესახებ, რომ მოკავშირეთა საარმიო ავიაციის თვითმფრინავებმა 11 და 12 აგვისტოს დაბომბეს კუნძული კიუსიუ (იაპონია), იაპონიის სამხედრო ობიექტები კურეს (კუნძული ჰონსიუ) ახლოს და ჩასძირეს იაპონიის ერთი წყალქვეშა ნავი, 12 სავაჭრო და 2 სატვირთო გემი, დააზიანეს რკინიგზის უბნები და იაპონიის ავიაბაზები კუნძულ ფორმოზაზე. თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს აგრეთვე იაპონიის სამხედრო ობიექტებზე ნავთსადგურებში შანხაის ახლოს და იაპონელთა კომუნიკაციებზე ფუზანის რაიონში (კორეა).

ავსტრალიის ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს იაპონიის სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ კუნძულ ბორნეოზე და ჩასძირეს 9 ნავი და კარჭაპები.

ვაშინგტონი, 13 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის შტაბი იუწყება, რომ ამერიკისა და ბრიტანეთის ფლოტების ავიაციამ დღეს დილით იერიში მიიტანა ტოკიოს რაიონზე. ქალაქზე თავდასხმაში, რომელიც გრძელდება, ათასი პილოტი მონაწილეობს.

ისტორიული თარიღი

(დასასრული)

ლი მოძრაობა დაიწყო და ადგილობრივი ჟანდარმერია თითქოს მზად არ აღმოჩნდა, თბილისის ჟანდარმერია პასუხში თავს იმართლებდა, რომ გაფიცვა ერთდროულად დაიწყო ხუთ მსხვილ საწარმოში.

გაფიცვების პერიოდში ჟანდარმერიამ მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში აღმოაჩინა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ადრიდანვე დაარსეს რევოლუციურმა მუშებმა. ბიბლიოთეკაში სამი ცალი ბიბლიის გარდა, დანარჩენი წიგნები რევოლუციური და საერთო-საგანმანათლებლო ხასიათისა იყო. პოლიტიკური ეკონომიის განყოფილებაში 365 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი იყო მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის რამდენიმე ეგზემპლარითურთ, ისტორიის განყოფილებაში—112 წიგნი, „საფრანგეთის რევოლუცია“, „სტუდენტთა მღელვარება ყაზანში“ „გლეხთა მოძრაობა კურსკის გუბერნიაში“ და სხვა. ჟანდარმერია, გაოგნებული იმით, რომ მუშები წლების განმავლობაში სარგებლობდნენ ამ ლიტერატურით, აღნიშნავს, აგვისტოს გაფიცვისას მუშათა ჩხრეკის დროს, თითქმის ყველა გაფიცულ აღმოაჩნდა ასეთი „კრამოლური“ წიგნები ზემოაღნიშნული ბიბლიოთეკიდან.

აგვისტოს გაფიცვის დაწყებიდან ი. ბ. სტალინმა ჩინებულად მოამზადა რევოლუციური ფურცლებისა და მოწოდებების ბეჭდვა. გაფიცვის დღეებში გამოვიდა 16 სხვადასხვა პროკლამაცია, რომელთა დიდი უმრავლესობის ავტორი ი. ბ. სტალინი იყო. ქართულ და რუსულ ენებზე ათასობით ვრცელდებოდა თბილისში და მთელ ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზზე ეს პროკლამაციები. ი. ბ. სტალინის დავალებით ალ. ჯაფარიძე, ზ. ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე და სხვები პროკლამაციებს ბეჭდავდნენ სტამბებში, აგრეთვე ჰექტოგრაფზეც. „აგენტურული ცნობით ირკვევა, — სწერდა თბილისის ჟანდარმთა სამმართველო, —რომ ეს მოწოდებები იბეჭდებოდა... დამოუკიდებელ საიდუმლო სტამბაში“. გაფიცულ მუშებს ახალ ენერგიას მატებდა სტალინის მოწოდება—„მტკიცედ დავიცვათ ჩვენი მოთხოვნილებანი, ვარჩენოთ ჩვენს სისხლისმსმელთ,... რომ მათ საქმე აქვთ... ადამიანებთან, რომლებმაც იციან ბრძოლა და თუ საჭიროება მოითხოვს, შეუძლიათ აიტანონ წამებაც კი წმინდა საქმისათვის“.

* * *

აგვისტოს გაფიცვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მ. ი. კალინინი, რისთვისაც იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს. ჯერ კიდევ 1890-იან წლებიდან მთავარ სახელოსნოებში მუშაობდა ახლახან გარდაცვლილი ძველი ბოლშევიკი ს. ი. ალილუევი, რომელიც ხელმძღვანელობდა მუშათა წრეებს და გაფიცვას სახარატო საამქროს მუშებს უდგა სათავეში. აგვისტოს გაფიცვისას თბილისში არ იმყოფებოდა იმ დროს უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი ა. მ. გორკი. მაგრამ 1891-1892 წლებში ა. მ. გორკი მთავარ სახელოსნოში მუშაობდა. მისი და ცნობილი რევოლუციონერის ფ. აფანასიევის ინიციატივით მთავარ სახელოსნოებში მოეწყო ის მდიდარი რევოლუციური ბიბლიოთეკა, რომელზეც აღიზარდნენ თბილისის მოწინავე მუშები.

მეფის მთავრობა ძალიან ცდილობდა ერთა შორის შუღლის გაღვივებით განემტკიცებინა თავისი ბატონობა კავკასიაში, მაგრამ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით კავკასიის მრავალერიანი პროლეტარიატი რევოლუციის გარიჟრაჟიდან მტკიცე ერთსულოვნებით დარაზმა საერთო მტრის — ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

* * *

აგვისტოს გაფიცვამ უდიდესი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა კავკასიის მშრომელებზე. მას გამოეხმაურნენ განჯის (კიროვაბადის) და ხაშურის დეპოს მუშები. გაფიცულთა გადასახლებით მთავრობამ მისდა უნებლიეთ მეტად სასარგებლო საქმე გააკეთა, რადგან ი. ბ. სტალინის მიერ გათვითცნობიერებულმა მუშებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში—ქალაქებსა და სოფლებში გააჩაღეს რევოლუციური მუშაობა. თბილისის მთავარი სახელოსნოს ბევრი მოწინავე მუშა, როგორიც იყვნენ გ. სტურუა, ვ. ბაჟანოვი და სხვები, ბაქოში გადავიდა სამუშაოდ. გაფიცვიდან მუშები გამოვიდნენ უფრო გასალკლდევებულნი და შემდგომი ბრძოლისათვის დარაზმულნი.

თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშები, რუსეთის პირველი რევოლუციის გარიჟრაჟიდან მტკიცედ დარაზმულნი ი. ბ. სტალინის გარშემო, მოწინავენი იყვნენ თავისუფლებისათვის ბრძოლის დიად საქმეში. დიდი სტალინი მუდამ აფასებდა ამ, როგორც თვითონ ამბობდა, შევარდნების გმირობას, რომლებიც სიცოცხლეს არ იშურებდნენ მუშათა განთავისუფლების საქმისათვის. ამ საქმისათვის ბრძოლის პირველი სერიოზული გაკვეთილი თბილისის პროლეტარიატმა 1900 წლის აგვისტოს დღეებში მიიღო.

ლენა სტურუა

„ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა კ. კეკელიძის ახალი წიგნი: „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. II.

„ეტიუდები“ ეხება ჩვენი ძველი კულტურისა და მწერლობის სხვადასხვა მხარეს. განსაკუთრებით ვრცლად არის გაშუქებული ძველი ქართული საეკლესიო და საერო მწერლობის ურთიერთობის საკითხი.

წიგნი, რომლის რედაქტორია პროფესორი ა. ბარამიძე, შეიცავს 381 გვერდს და ღირს 60 მანეთად.

ჩაის ფოთლის კრეფა

(საქართველოს ჩაის ტრესტის 10 აგვისტოს ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	აგვისტოს გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტობით
ბათუმი	65,1	18,5
ქობულეთი	51,1	16,7
გალი	65,8	18,7
ოჩამჩირე	73,0	21,3
გულრიფში	62,8	16,0
სოხუმი	74,0	—
გუდაუთი	73,8	27,4
მახარაძე	58,3	13,1
ჩოხატაური	64,4	13,1
ლანჩხუთი	48,6	10,9
სამტრედია	81,5	33,1
წულუკიძე	57,6	17,9
ქუთაისი	52,1	5,5
წყალტუბო	76,1	10,6
ტყიბული	68,4	13,8
ცხაკაია	70,5	18,9
აბაშა	89,5	23,8
გეგეჭკორი	65,8	10,2
ზუგდიდი	53,3	4,6
წალენჯიხა	48,2	1,8
ჩხოროწყუ	47,7	7,5
ხობი	48,0	9,3
ჩხარი	109,0	19,2
ზესტაფონი	78,0	11,5

ზუგდიდისა და ლანჩხუთის რაიონების ცნობები არასრულია.

თბილისის მეორე საფერშლო სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას 1945-46 სასწავლო წლისათვის. სწავლის ხანგრძლიობა — 3 წელი. სკოლადამთავრებულებს ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება. სკოლაში მიიღებიან საშუალო სკოლის არა ნაკლებ 7 კლასის ცოდნის მქონე ქალები და ვაჟები 15-დან 35 წლის ასაკამდე. უგამოცდოდ მიიღებიან: 1944-45 წელს 7-წლედდამთავრებული ფრიადოსნები. საშუალო სკოლა (ათწლედთა და მასთან გათანაბრებულ სხვა საშუალო სასწავლებელთა) დამთავრებულნი. მისაღები გამოცდები იწარმოებს: 1-დან 10 სექტემბრამდე, ქართულ ენაში, რუსულ ენაში, არითმეტიკასა (წერა და ზეპირი) და სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

განცხადებები მიიღება 31 აგვისტომდე. მისამართი: კამოს ქ. № 51, ტელეფონი 3—81—67. მეცადინეობა დაიწყება 17 სექტემბერს. სტიპენდია საერთო წესით.

მოქალაქე **ვალენტინა მიხეილის-ასულმა ჩარუევამ,** მცხოვრებმა ქ. კრასნოვოდსკში, პუშკინის ქ. № 1, აღძრა საქმე თბილისში, საჯაიას ქ. № 28 მცხოვრებ მოქალაქე **პეტრე დავითის-ძე ჩარუევთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლოში.

მეუღლე ისიდორე, შვილები ბავი, ლოლა, ალი, საშა, ხუხუ, სიძეები ვალიკო ჰელიძე, ლადო ჭყონია, რძალი ფუცა, შვილიშვილები რუსიკო, ბუჭუ, ცისანა, გურამ იუწყებიან **ფუცუ მიქაიას** გარდაცვალებას.

ციმცაძე, კვირკველია, ბადინოვი, აფხაზავა, გიგაური, ასათიანი, გიორგობიანი, ყიფიანი, მერაბიშვილი, ჰელიძე, მელქონიანი, მიქაბერიძე, გამრეკელი იუწყებიან **გიორგი კალანდაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სამეცნიერო-საკვლევო სანიტარული ინსტიტუტის ადმინისტრაცია და თანამშრომლები იუწყებიან მეცნიერ მუშაკის **ანა გიორგის-ასულ დემეტრაძე-ღლონტის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება 16/VIII, 6 ს. ქორესის, 17.

დედა სენიტი, ძმები ამბაკო, ოთარ, ჯიმშერ, რძალი ვერა, ძმისწულები მანგურ, თენგიზ რაჭველიშვილები იუწყებიან **პორფილეს** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15/VIII, 8 ს. გამოსვენება 16/VIII, 6 ს. საპ-ჰოს, 131.

უახლოესი ამხანაგები კ. ბეჟვაია, ი. ფუტკარაძე, ქ. მეგრელიძე, შ. შარაშიძე, ზ. პირიაშვილი, ს. ჯიჯეიშვილი, მ. კუბლაშვილი, ი. ბაბალაშვილი, მ. კუკუტარია, ა. მატუა თანაგრძნობას უცხადებენ დაუდ ალის-ძე დავითაძეს მისი შვილის **გულას** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 16/VIII, ქ. ბათუმში.

ლილი და ბორის ნანიტაშვილები, ოლია და ესე ვასაძეები თანაგრძნობას უცხადებენ დ. დავითაძეს **გულას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე მარიამ შენგელია-კალანდაძე, ძმა გრიგოლ, სიდედრი ტერეზა, ცოლისძმები არჩილ, მიშა ცოლ-შვილით, ცოლისდა ელპიდე იუწყებიან **გოგი ხერაპონის-ძე კალანდაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ელპიტე, შვილი მარო, სიდედრი ფოსინე, სიძე გრიშა ფირცხალაიშვილი, შვილიშვილები რამაზ, შოთა იუწყებიან **მელიტონ ივანეს-ძე ჩხარტიშვილის** გარდაცვალებას.

ლ. ბახტაძე, ლ. ბაბუნაშვილი, ვ. ჯიბლაძე, ქ. და ნ. შარაშენიძეები, ქ. ბოკერია, ქ. ბოკუჩავა, ე. ლომიძე, ე. ქორქოლიანი, ნ. ჯანეუაშვილი იუწყებიან **ანა დემეტრაძე-ღლონტის** გარდაცვალებას.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 07332